# სარბიელი

სპორტული გაზეთი  სამშაბათი 1 მარტი 2005 №44 (2367)  ფასი 50 თეთრი




**თქვენი ინტერვიუ**

**შოთა არველაძესთან**

4



**ჩემი ჯილა ჩემთან**

ალბერტო ჯილარდინო მილანელია

7



**დიეგო, გაიკეთე ოპერაცია, თორემ მოკვდები**

10

# ბაკურიანი 2014
## ბადრი პატარკაციშვილი: რატომაც არა?!



# კანკავამ ხუთწლიანი ალანია იუ არა




[illegible] ფოტო

უცნაური ამბავი შევიტყვეთ: მაშინ, როდესაც თითქმის ყველა რუსული საინფორმაციო საშუალება, მათ შორის ვლადიკავკაზის „ალანიას" ოფიციალური ვებ-გვერდი, იტყობინებოდა, რომ თბილისის „დინამოს" ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ „ალანიასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც ჩვენთან საუბარში თავად ვლადიკავკაზელთა თავკაცმა ბახვა თედეევმა დაადასტურა, აღმოჩნდა, რომ ჯაბას ტრანსფერი ჩაიშალა!

ეს ამბავი გუშინ მოხდა. კანკავას კონტრაქტზე ხელმოსაწერად კალამი უკვე მზად ჰქონდა, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი გადაიკითხა და ვლადიკავკაზელებს უარი უთხრა. მიზეზი: კანკავა, „დინამო" და „ალანია" შეთანხმებულნი იყვნენ, რომ ფეხბურთელი ოსურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებდა, მაგრამ მყიდველ მხარეს ფეხბურთელის დასაკუთრება 4+1 წლით მოსურვებია.

ასე და ამგვარად, „ალანიას" ერთი ქართველი გამოაკლდა. ჯაბა თბილისში სავარაუდოდ პარასკევს ჩამოვა, თუმცა მანამდე მაინც ნუ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება რაიმეკიდევ შეიცვალოს.

კობა ინასარიძე



გიორგი დემეტრაძეს ესპანური შეკრება კარგად დაამახსოვრდა

# დემე შუაში დაბრუნდა

## მეტალურგი სერბებს აგროვებს, ქართველი გოლებს

ესპანურ-ჰოლანდიური შეკრებაგავლილი დონეცკის „მეტალურგი" შინ გუშინწინ დაბრუნდა და დღეს უკვე უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეს დაიწყებს. გიორგი დემეტრაძე და მისი გუნდი კიევის „არსენალს" დაუხვდებიან.

მოსამზადებელ პერიოდში დონეცკელთა ჩვენიანს სერბმა მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმა ასიამოვნა და თავისთვის ჩვეულ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე დააბრუნა. იქამდე კი, ჩემპიონატის მთელი პირველი წრე, დემეტრაძე მწვრთნელს რატომღაც მარჯვენა, უკანდახეულ თავდამსხმელად ჰყავდა გამწესებული

— მუსლინს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, რამდენიმე თავდამსხმელი დაშავებული იყო და ისე გამოდიოდა, ამხანაგურ მატჩებში უფორვარდოდ უნდა გვეთამაშა. მწვრთნელმაც იფიქრა, თავდასხმაში დამაბრუნა და მეც სხვა რა მინდოდა. იმ მატჩში ორი გოლი ხომ გავიტანე და მეტოქეებისთვის არც მას შემდეგ დამიკლია ხელი. მუსლინი კი საბოლოოდ დავარწმუნე, რომ ჩემი ადგილი გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზეა — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

**— დარწმუნებული ხარ, რომ ჩემპიონატის მატჩებში მუსლინი ამპლუას აღარ შეგიცვლის?**

— ტრავმირებულები კი გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ მუსლინს გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებული აქვს და ვიცი, რომ სწორედ ცენტრფორვარდად ვითამაშებ. თუმცა, ეგებ ზოგიერთ მატჩში მწვრთნელს ფლანგზეც დავჭირდე. ყოველ შემთხვევაში, ამაზე აღარ ვდარდობ და ვიცი, გამოკვეთილ თავდამსხმელად ვითამაშებ.

**— რამდენი გოლი გაიტანე მოსამზადებელ პერიოდში?**

— ზუსტად აღარც მახსოვს, ათი თუ თორმეტი. ყოველ თამაშში გამქონდა, ერთხელ ჰეთ თრიქიც გავაკეთე.

**— გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებებია?**

— არა, სულ ორი ფეხბურთელი შეგვემატა — მეკარე და ნახევარმცველი. ორივე სერბია.

**— ახლა რამდენი სერბია გუნდში?**

— ექვსი, მწვრთნელიც სერბია და მისი თანაშემწეც.

**— გავიგეთ, ესპანური შეკრებისას პრიმერადივიზიონის „მალაგასთან" გქონდა ტრანსფერზე მოლაპარაკება...**

— კი, ასე იყო. „მალაგას" გარდა რამდენიმე გუნდსაც სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ „მეტალურგზე" უკეთესი პირობები ვერ შემომთავაზეს. დონეცკში კი თავს მშვენივრად ვგრძნობ, კარგი გუნდი გვყავს და მეგობრებიც არ მაკლია.

**— ნაკრებში, ლიტვასთან მატჩზეც სწორედ „მალაგაში" შესაძლო გადასვლის გამო არ ჩამოხვედი?**

— ნაკრების მწვრთნელებმა ეს ამბავი კარგად იცოდნენ. ჟირესს ვესაუბრე და მან თავად მითხრა, აუცილებელი არ არის შენი ჩამოსვლაო. თანაც „მეტალურგს" ბოლო მოსამზადებელი ეტაპი ჰქონდა, რაც ფორმის აღსადგენად მნიშვნელოვანი იყო.

**— ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

— ყველაფერი კარგადაა. ხვალ ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და ვფიქრობ, გუნდიც კარგადაა მომზადებული.

**— „მეტალურგი" მესამე ადგილზე მყარადაა. ჩემპიონობაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

— ფიქრით კი ვფიქრობთ, მაგრამ, ისიც ვიცით, რომ ეს ჯერჯერობით არარეალურია. „შახტარს" და კიევის „დინამოს" ცოტათი ჩამოვრჩებით, თუმცა მათ, ალბათ, მაინც ვერ ვაჯობებთ.

**კობა ინასარიძე**

# ამისულაშვილი დნიპროს კაცია

**კიევის „დინამოში"** ფეხმოუკიდებული ალეკო ამისულაშვილი დნიპროპეტროვსკის „დნიპროს" რომ შეუერთდა, სამიოდ დღის წინ ვწერდით. ალეკომ რამდენჯერმე ივარჯიშა ევგენი კუჩერევსკის გუნდში და გადაწყდა, რომ ამ სეზონს დნიპროსპირეთში გაატარებს. ყოველ შემთხვევაში, „დნიპრომ" უკრაინის ჩემპიონატის სამეორეწრეო განაცხადში ჩვენიანი უკვე შეიყვანა — ალეკოს 25-ნომრიანი მაისური ერგო.

მეორე წრე კი დღეს განახლდება და ამისულაშვილის ახალი გუნდი „ობოლონს" უმასპინძლებს. „დნიპრო" ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და წლეულს მაქსიმუმ უეფას თასის საგზურს თუ მოინადირებს — ლიდერ „შახტარს" 16 ქულით ჩამორჩება.

აქვე ვთქვათ, რომ „დნიპროში" უკრაინის ეროვნული ნაკრების 11 ფეხბურთელია და, ფაქტობრივად, ამ ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდად ითვლება. საქმე ისაა, რომ დნიპროსპირელებს პირველ ეტაპზე ერთი ლეგიონერიც კი არ ჰყავდათ, ახლა კი ამისულაშვილის გარდა, კიევის „დინამოდან" ბელარუსი სერგეი კორნილენკოც გადაიყვანეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# აზერ-ამბები

## ადამია მთავარი მენავთობეა

**წლების წინ** ბრაზილიელი ფეხბურთელის აზერბაიჯანულ კლუბში თამაში როგორი წარმოსადგენი იყო? ახლა კი ჩვენი მეზობლების ჩემპიონატში ლეგიონერები, როგორც იტყვიან, ხვინჭასავითაა. რატომაც არა, იქაურ კლუბებს სახელმწიფოსგან შეღავათები აქვთ, ინვესტიციების მოზღვავებას არ უჩივიან და გრიალებენ, როგორც უნდათ.

გეცოდინებათ, წლეულს რამდენიმე ქართველმაც მიაშურა აზერბაიჯანს და იქაური ჩემპიონატი ჩვენთვის უკვე საინტერესო გახდა. აზერბაიჯანელთა 18-გუნდიან პირველობაზე გუშინ 21-ე ტური დასრულდა და ალექსანდრე გოგობერიშვილის დებიუტიც შედგა — „ბაკიმ" „ტოფიკ ბახრამოვის" სტადიონზე ბრაზილიელი ლეანდრო გომეშის ბოლო წუთზე გატანილი გოლით 1:0 მოუგო „განჯას". გოგობერიშვილის გარდა, „ბაკის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა ფოთის „კოლხეთის" ყოფილმა ფორვარდმა მერაბ ძოძუაშვილმაც, თუმცა საგოლე კომბინაციაში ჩვენებს მონაწილეობა არ მიუღიათ და, როგორც ერთ-ერთი იქაური ვებგვერდი იუწყება, რიგიანად ვერ გარჯილან. „ბაკი" 45 ქულით მეოთხე ადგილზეა და 5 ქულით ჩამორჩება ლიდერ აგდამის „ყარაბახს". სხვათა შორის, „განჯას" რიგებში სრულად ითამაშა თავდამსხმელმა მიხეილ ხუციშვილმა, ხოლო მეორე ტაიმში გოგა ბერაიაც გამოჩნდა მინდორზე.

სამაგიეროდ, კვლავ გაიტანა გიორგი ადამიამ, რომელიც „ნეფთჩის" სული და გულია. ბაქოელებმა სუმგაითში 2:1 აჯობეს „გენჩლერბირლიგის", ქართველმა თავდამსხმელმა კი თავისი ულუფა მე-6 წუთზევე მიითვალა, როდესაც საჯარიმოში შეჭრილმა თავზე გადაუგდო ბურთი მეკარეს. თანამეგობრობის თასზე მოწყობილი გოლების კასკადის შემდეგ ადამიამ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ოთხ ტურში სამჯერ შეაგდო და „ნეფთჩი" თუ ჩემპიონობას უმიზნებს, სწორედ მისი წყალობით — ბაქოელები მესამე საფეხურზე არიან და გოგობერიშვილ-ძოძუაშვილის გუნდს ერთი ქულით უსწრებენ.

და კიდევ, აზერული კლუბების ამბიციას ისიც ადასტურებს, რომ მათი საშუალო დონის ლენქორანის „ხაზარში" 27 წლის თურქი ფორვარდი ოქთაი დერელიოღლუ თამაშობს. ბევრს ეხსომება, ეს ფეხბურთელი 3-4 წლის წინ ოსმალოთა ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# დისციპლინარები უდისციპლინოებს პასუხს ხვალ ეტყვიან

**პარასკევს** ქუთაისში „ტორპედო" — „ზესტაფონის" მატჩის შემდეგ მომხდარ ინციდენტს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ხვალ გაარჩევს.

შეგახსენებთ, მსაჯობით უკმაყოფილო „ტორპედოს" ქომაგებმა ტრიბუნაზე დიდი რია-რია ატეხეს და, რაც კი ხელში მოხვდათ, ყველაფერი მოედანზე ისროლეს. სტადიონის რამდენიმე თანამშრომელი მსუბუქადაც დაშავდა, ხოლო თავად მსაჯებს დაახლოებით ნახევარი საათით მოედნის ცენტრში მოუწიათ ყურყუტმა. ქომაგები მას შემდეგ უფრო გაშმაგდნენ, რაც სტადიონზე ხელკეტიანი სპეცრაზმელები გამოჩდნენ და მათი დაშოშმინება სცადეს.

სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის ტატო ლასხიშვილის სახელზე „ტორპედო" — „ზესტაფონის" მსაჯ-ინსპექტორებს შესაბამისი პატაკები უკვე დაუწერიათ და ახლა მომხდარი ფაქტის განხილვას ელიან. ჩვენც დაველოდოთ, ვნახოთ, რას იტყვიან დისციპლინარები.

**კობა ინასარიძე**



ბაჩო კორინთელის ფოტო

| ჩეხეთი |
| --- |
| გამბრინუს ლიგა XVII ტური |
| ოპავა 0:1 სპარტა |

| საფრანგეთი |
| --- |
| II დივიზიონი XXVII ტური |
| გენგამი — ლორიანი *გადაიდო* |

| გერმანია |
| --- |
| II ბუნდესლიგა. XXIII ტური |
| ფიურტი 1:3 დუისბურგი |

| იტალია |
| --- |
| სერია B. XXVIII ტური |
| ალბინოლეფე 0:0 ემპოლი |
| სერია C1/A. XXV ტური |
| პიზა 0:0 პისტოიეზე |

| ინგლისი |
| --- |
| პრემიერლიგა. XXVII ტური |
| ნორვიჩი 2:3 მანჩესტერ სიტი |

| პორტუგალია |
| --- |
| სუპერლიგა. XXIII ტური |
| პორტუ 1:1 ბენფიკა |
| სპორტინგი — ეშტორილი *გვიან დამთავრდა* |

კოკა-კოლა
ბენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**
**მეორე ეტაპი**
**21 ტური ანონსი**



პირველი ეტაპის „დინამო" — „თბილისი" მოულოდნელად მარტივსიუჟეტიანი გამოდგა: გია გეგუჩაძის გუნდმა მეტოქეს 4:1 მოუგო

# რას იზამს დინამო ნავიტჯორჯიევს? ვინ როგორ გასამდება

დღეს მეორე ეტაპის მესამე ტურია და რა უნდა გასამდეს?

თბილისის „დინამო" ალბათ სეზონის მეორე ეტაპზე მესამე თამაშს აღარ წააგებს, ქუთაისის „ტორპედო" ალბათ მესამე ცდაზე მოიგებს, „ზესტაფონმა" კი, შესაძლოა, მესამედ ველარ მოიგოს.

3 მართლაც სიმბოლური ციფრია და დღეს კვლავ ველით რაღაც განსაკუთრებულს, უცნაურს და ამავე დროს ჩვეულებრივ ამბებსაც, ხოლო ზემორე ვარაუდებს მკაცრ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ.

იოლი თამაშები კი ჩვენს ჩემპიონატში ძალიან იშვიათია ამ ბოლო დროს და დღეს ისეთი ტურია, გოჯის მესვედსაც უსისხლოდ არავინ რომ არ დათმობს.

*დავით თავართქილაძე*

თბილისი. 1 მარტი. 14 საათი. ეროვნული

## დინამო — თბილისი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია





„დინამო" — „თბილისს" მთავარი ინტრიგა მოკლდა: გია გეგუჩაძის მიერ დაწუნებული სანდრო იაშვილი (№23) არ ითამაშებს

**„დინამომ"** „თბილისიდან" ხუთი ფეხბურთელი კი წაიყვანა, თუმც წინა ტურში მათგან სასტარტოში ოდენ ერთი, დავით ოდიკაძე ათამაშა. საინტერესოა, დღეს რამდენი ექსთბილისელი ითამაშებს „თბილისთან" და ძალიან საინტერესოა, რას იზამს „დინამო" ნავიტჯორჯიევს. გია გეგუჩაძეს მხოლოდ მოგება ჩაეთვლება დამაკმაყოფილებელ შედეგად, რადგან თასზე „ზესტაფონთან" დამარცხდა, „სიონს" შინ ძლივს მოუგო, ხოლო „ვიტ ჯორჯიასთან" წააგო.

ამ თამაშს განსაკუთრებულ ეშხს შესძენდა „დინამოდან" „თბილისში" განათხოვრებული სანდრო იაშვილი, მაგრამ ის დისკვალიფიცირებულია.

მაგრამ „თბილისს" ჰყავს მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და მცველი რევაზ ქემოკლიძე — ლუის ცაკარიასის გუნდის საძირკველს სწორედ ისინი წარმოადგენენ. „თბილისი" ალბათ დაცვიდან ითამაშებს, „დინამოს" თამაშს არ გაუხსნის, თუმც ეს ოდენ ჩვენი ვარაუდია...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 41:20 | 42 |
| ტორპედო | 20 | 11 | 7 | 2 | 32:12 | 40 |
| თბილისი | 20 | 11 | 4 | 5 | 41:25 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 9 | 5 | 6 | 31:25 | 32 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 9 | 4 | 26:17 | 30 |
| ზესტაფონი | 20 | 8 | 1 | 11 | 18:36 | 25 |
| ბათუმი | 20 | 6 | 7 | 7 | 23:17 | 25 |
| კოლხეთი | 20 | 5 | 5 | 10 | 19:26 | 20 |
| სიონი | 20 | 5 | 2 | 13 | 18:43 | 17 |
| დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13:41 | 9 |

ზესტაფონი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**ზესტაფონში** ზურაბ იონანიძე გაკრიპდა და მისგან დღესაც მხოლოდ და მხოლოდ გოლს მოითხოვს იქაური გულშემატკივარი. „ზესტაფონს" მთავარი მწვრთნელი, თემურ მახარაძეც გამოუცხადდებოდა, ვინც წინა ტურში გუნდს არ ახლდა ქუთაისში.

გოლის გამტანი „ლოკომოტივსაც" ჰყავს, თუმც მისული ბოლოხიძეს მეორე ეტაპზე ჯერ არ უხეირია და ნავსის გატეხვას ზესტაფონში ეცდება. საერთოდაც, „ლოკომოტივი" ყველა რგოლში რიგიანად დაბალანსებული გუნდი ჩანს და იმერლებს კარგი ბრძოლა უნდა გაუმართოს. თუმც „ზესტაფონს", გულშემატკივრის ფაქტორის გათვალისწინებით, ალბათ უკეთესი შანსი აქვს.

ფოთი. 1 მარტი. 14 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ტორპედო

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

**„კოლხეთი"** სამშვიდობოს რომ გავიდეს, ძალიან დიდი თავდადება მართებს, რადგან სამეორეეტაპოდ ბოლნისის „სიონი" ერთობ მოეშვაერდა და ზღვისპირელებსაც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

მიუხედავად მარცხისა, „კოლხეთმა" ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა წინა ტურში „თბილისთან". ფოთელების შეტევის პოტენციალი ერთობ გააძლიერა ექსთბილისელმა კოკა მიკუჩაძემ, „კოლხეთს" კარგად აუთვისებია გუნდური თამაშიც და ასეთ მეტოქესთან სტუმრისთვის ლობიოს ჭამა ნამდვილად არაა.

მეორე მხრივ, მეორე ეტაპზე „ტორპედოს" თამაში არ მოუგია და ფოთში მესამე ცდაზე მიდის. მოკლედ, ძალიან ძნელადპროგნოზირებადი წყვილია.

ბათუმი. 1 მარტი. 14 საათი. დინამო

## ბათუმი — სიონი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**კიდევ** ერთი ზღვისპირული მატჩი და კიდევ ერთი ვარაუდი — მეორე ეტაპზე „ბათუმიც" მოგების გარეშეა და...

მაგრამ „სიონი" ის „სიონი" აღარ არის, რაც პირველ ეტაპზე იყო. ბათუმელები ყველაზე უფრო გრიგოლ დოლიძეს უნდა უფრთხილდნენ, ვინც წინა ტურში „დილასთან" კაშკაშად ითამაშა. დაცვაც ღირსეული ჰყავს „სიონს" — გამოცდილი კახა სიდამონიძე და ექსდინამოელი, საბერძნეთმოვლილი ირაკლი ვაშაკიძე.

გორი. 1 მარტი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

**თუ** რა დღეში არიან გორელები, ცხრილიდანაც ჩანს, მაგრამ „დილა", ასე ვთქვათ, სახლის გუნდია და ემანდ, გორში ჩემპიონს ფეხი არ დაუცდეს.

„ვიტ ჯორჯია" ათი ქულით ჩამორჩება „დინამოს", მაგრამ რადაცნაირი გუნდია, არ იპრანჭება, თუმც ბევრი შეუძლია.

# თქვენი ინტერვიუ

# შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



დაიბადა 22.02.73; სიმაღლე 1,82 მ; წონა 74 კგ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1990 | მართვე (თბილისი) | 30 | 33 |
| 1991 | იბერია (თბილისი) | 7 | 3 |
| 1991-92 | იბერია (თბილისი) | 30 | 22 |
| 1992-93 | დინამო (თბილისი) | 23 | 18 |
| 1993-94 | ტრაბზონსფორი (თურქეთი) | 18 | 15 |
| | დინამო (თბილისი) | 7 | 8 |
| 1994-95 | დინამო (თბილისი) | 8 | 11 |
| | ტრაბზონსფორი (თურქეთი) | 17 | 12 |
| 1995-96 | ტრაბზონსფორი (თურქეთი) | 34 | 25 |
| 1996-97 | ტრაბზონსფორი (თურქეთი) | 27 | 9 |
| 1997-98 | აიაქსი (ჰოლანდია) | 31 | 25 |
| 1998-99 | აიაქსი (ჰოლანდია) | 19 | 7 |
| 1999-00 | აიაქსი (ჰოლანდია) | 17 | 5 |
| 2000-01 | აიაქსი (ჰოლანდია) | 27 | 18 |
| 2001-02 | აიაქსი (ჰოლანდია) | 2 | - |
| | რეინჯერსი (შოტლანდია) | 22 | 11 |
| 2002-03 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 30 | 15 |
| 2003-04 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 18 | 12 |
| 2004-05 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 17 | 4 |

საქართველოს ნაკრებში 52 მატჩი, 19 გოლი

*რუბრიკის მეორე რესპონდენტი, შოთა არველაძე მკითხველმა მაინცდამაინც არ დაბომბა კითხვებით, არადა, შოთას ეროვნულ ნაკრებში 52 მატჩი უთამაშია და ყველაზე მეტი, 19 გოლი გაუტანია.*

*გარდა ამისა, შოთა გახლდათ პირველი ქართველი ფეხბურთელი, დიდ ევროპულ გუნდში, ამსტერდამის „აიაქსში" რომ ითამაშა. თუმც არველაძის რეგალიების ჩამოთვლას აღარ შევუდგებით, ოდენ მის პასუხებს გთავაზობთ მკითხველთა კითხვებზე.*

*რუბრიკა კი კვლავ გაგრძელდება, ოღონდ მისი მზეგრძელობა თქვენზე, გულშემატკივართა აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული...*

### *გიგა სორდია*

*16 წლის, თბილისი*

**— თქვენს ყველაზე დასამახსოვრებელ სანაკრებო გოლად რომელს მიიჩნევთ?**

— ვფიქრობ, დასამახსოვრებელი გოლი უფრო მის სილამაზეზეა დამოკიდებული, ვიდრე მნიშვნელობაზე. ძალიან გამიხარდა გოლი, რომელიც შვეიცარიის ნაკრებს გავუტანე თავით წინა შესარჩევ ციკლში. ამ გოლით ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, 1:4 წავაგეთ.

### *დავით ცხომელიძე*

*51 წლის, თბილისი*

**— როგორც ვიცი, ალენ ჟირესმა ჩვენი ჰიმნი ფრანგულად ათარგმნინა, რათა გაეგო, თუ როგორია ის — ფეხბურთელები არ აპირებთ, ჰიმნი დაიზეპიროთ და იმღეროთ?**

— მე ზეპირად ვიცი ჩვენი ჰიმნი და სიმღერასაც არ ვითაკილებ. სხვათა შორის, ჰიმნი ზეპირად ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა იცის.

**— რომელი იყო თქვენი ყველაზე სერიოზული ტრავმა?**

— ჩემს მეორე აიაქსურ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ოლიმპიაკოსთან" მუხლის ხრტილი დავიზიანე, რაც ყველაზე მძიმე ტრავმა გამოდგა ჩემს კარიერაში.

**— რას გრძნობთ, როცა ვეტერანს გიწოდებენ და კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— გააჩნია, ვეტერანს რა კონტექსტში მიწოდებენ. თუ ვეტერანში ხანდაზმულობას გულისხმობენ, ალბათ არავინ თვლის საკუთარ თავს ბებრად.

**— რომელი უცხო ენა იცით და რამდენად მნიშვნელოვანია უცხო ენის ცოდნა ფეხბურთელისთვის?**

— რუსულის გარდა ვიცი თურქული, ინგლისური და ჰოლანდიური. უცხო ენების ცოდნა ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ სადაც მიდიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო.

**— ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებიდან ვინ მიგაჩნიათ ყველაზე პერსპექტიულად?**

— სანდრო იაშვილი და გოგიტა გოგუა, აგრეთვე ჯაბა კანკავა, გოჩა ხოჯავა და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე.



### *ზურაბ ანჯაფარიძე*

*25 წლის, თბილისი*

**— თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართს ხომ არ გვეტყოდით?**

— სამწუხაროდ, ვერა, რადგან არ მაქვს, ელფოსტა არ მჭირდება.

### *იური გელოვანი*

*70 წლის, სამტრედია*

**— რა ურთიერთობა გაქვთ ზაზა ჯანაშიასთან და როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დამკვიდრდა ის ეროვნულ ნაკრებში?**

— მოგონილი იყო, თითქოს მე და ჯანაშიას ცუდი ურთიერთობა გვქონდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვერ დამკვიდრდა ჯანაშია ნაკრებში, მითხარით, სად, რომელ გუნდში ითამაშა სტაბილურად, ნაკრების გარდა სხვაგან თუ დამკვიდრდა და მერე გაგცემთ პასუხს ამ კითხვაზე. ჯანაშიას ნაკრებში ვერდამკვიდრების ამბავი თვითონ ჯანაშიაში უნდა ვეძებოთ და არა სხვაგან. ჯანაშია მართლაც ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, როცა იოჰან ბოსკამპი მას ნაკრებიდან უშვებდა, თანაგუნდელებმა მწვრთნელს გადაწყვეტილების შეცვლა ვთხოვეთ.

**— რატომ არ იყო პატრიოტული სულისკვეთება 1997 წელს კატოვიცეში პოლონეთთან მატჩისთვის, რა მოხდა მატჩის შემდეგ თვითმფრინავში?**

— ის სეზონის ბოლო თამაში იყო, ფეხბურთელები, ფაქტობრივად, შვებულებაში გავდიოდით. 1:0-ს ვიგებდით, მაგრამ კონცენტრაცია დავკარგეთ და 1:4 წავაგეთ. მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს თვითმფრინავში არანაირი ღრეობა არ მოგვიწყვია და თუ ვინმე საპირისპიროს ამბობს, ტყუის. მე ჩემს ქორწილშიც კი არ დამილევია.










# ქართველებს ტრავმის ვირუსი შეეყარათ

**ევროპაში მობურთალ ქართველებს ტრავმები დაერიათ. ამის გამო გასულ უქმეებზე ერთბაშად შვიდ ქართველს არ მიეცა მოედანზე გასვლის საშუალება, მერვე — კახა კალაძე კი პირველ ტაიმშივე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.**

**ტრავმები მით უფრო საგანგაშოა, რომ თვის ბოლოს საქართველოს ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის საბერძნეთთან და თურქეთთან. თუმც იმედია, ჩვენებურები მალე მომჯობინდებიან და ფორმის აღდგენასაც მოასწრებენ**



***მთელი იტალიის ყურადღება „მადონინაზე“ მიიპყრო.*** „ინტერი“ — „მილანი“ ყოველთვის ყველასგან გამოსარჩევი მატჩია და ასე იყო ახლაც. ჩვენთვის სამწუხარო ამბავზე უკვე ვთქვით — ეროვნული ნაკრების კაპიტანი ***კახა კალაძე*** ობაფემი მარტინსთან და კრისტიან ვიერისთან შეჯახებისას დაშავდა. არადა, ახალგამოჯანმრთელებული კალაძე მანამდე საკმაოდ შთამბეჭდავად თამაშობდა და თავის მარცხენა ფლანგს რიგიანად აკონტროლებდა... „მილანმა“ ბრაზილიელი კაკას ერთადერთი გოლით მოიგო და პირველი ადგილი შეინარჩუნა. საინტერესოა ისიც, რომ ეს მარცხი პირველი გამოდგა „ინტერისთვის“ მიმდინარე სეზონში.

***მცირე ჩავარდნა დაძლია „შალკემ“*** და კვლავაც კუდში მისდევს მრისხანე „ბაიერნს“. გელზენკირხენელებმა „ჰანოვერის“ 1:0 ძლევით გამოიკეთეს გუნება, თუმც ეს საქმე მთლად იოლად გამოუვიდათო, ვერ ვიტყვით — „შალკეს“ ბოლო წუთებში ძალიან გაუჭირდა. ***ლევან კობიაშვილმა*** სრულად ითამაშა და „კიკერისგან“ 3,5 შეფასება დაიმსახურა.

„ფრაიბურგმა“ მოლოდინისამებრ წააგო „ბაიერნთან“ და მე-17 ადგილს ისევ ვერ ასცდა. ფოლკერ ფინკეს შეთხელებულ გუნდში ერთადერთი ქართველი, ***ოთარ ხიზანეიშვილი გამოჩნდა. ალექსანდრე იაშვილი*** და ***ლევან ცქიტიშვილი*** კი ავადმყოფობის გამო ვერ შეეშველენ „ფრაიბურგს“.

***შოტლანდიურ პრემიერლიგაში „რეინჯერსის“ შამი დადგა.*** გლაზგოელებმა გადადებულ მატჩში 2:1 მოუგეს „კილმარნოკს“ და კონკურენტ „სელტიკთან“ სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდეს. ამ მატჩში კვლავაც არ გამოჩენილან ქართველი ფეხბურთელები — ***შოთა არველაძე*** ჯერაც ფეხს მკურნალობს, ***ზურაბ ხიზანიშვილს*** კი გრიპი შეჰყრია.

***ტრავმირებულია გოგა გახოკიძე.*** „ტვენტეში“ დაბრუნების მერე გოგა ერთადერთხელ გავიდა მოედანზე და მას შემდეგ აღარ უთამაშია. კლუბის ექიმების თქმით, ჩვენებური რამდენიმე დღეში სრული დატვირთვით განაახლებს ვარჯიშს და ვინძლო, ორიოდ კვირაში თამაშიც შეძლოს.

***შვეიცარიელ ქართველებს დიდთოვლობა დაებედათ.*** ციურიხელ ***ლადო ახალაიას*** და სიონელ ***მიხეილ ყაველაშვილს*** უკვე მეორე მატჩი გადაუდოთ უამინდობის გამო და მათი ოფიციალური დებიუტიც ტურიდან ტურამდე ყოვნდება.

***ქართული გოლებით მოიგო „ქართულმა“ „ანართოსისმა“. თემურ ქეცბაიას, კლიმენტი წიტაიშვილის*** და ***გიორგი გაბიდაურის*** გარჯამ ფამაგუსტელებს მნიშვნელოვანი სამი ქულა წაალებინა აშნადან. ანართოსისელთა ერთ-ერთი ლიდერი ***გიორგი ქინქლაძე*** საგოლე პასით გამოირჩა, ცინცხალი ახალწვეული ***გოჩა ხოჯავა*** კი 89-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და დებიუტიც 1-2 წუთიანი გამოუვიდა. შეგახსენებთ, რომ ხოჯავა „თბილისმა“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა „ანართოსისში“.

**ბახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ინტერი 1:0 | 37 | შეცვალეს | 12 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანოვერი 1:0 | 90 | | 22 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ალემანია 5:1 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | უნტერჰახინგი 0:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | გრააფსხაპი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 8 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | თუნი — გადაიდო | 0 | | 0 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | შ | ბელინცონა — გად. | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ერგოტელისი 2:0 | 90 | | 18 | 0 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | როდოპა 1:0 | 90 | | 17 | 4 | 1 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ერკაისი 0:2 | 0 | | 6 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ეთნიკოსი 3:1 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 18 | 10 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | ეთნიკოსი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 16 | 2 | 2 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ეთნიკოსი 3:1 | 62 | 1 გოლი, შეცვალეს | 19 | 6 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ეთნიკოსი 3:1 | 15 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 6 | 1 | 2 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | ს | ეთნიკოსი 3:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ალკი 0:2 | 90 | | 19 | 5 | 10 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | არისი 2:0 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 4 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

***ბორის ჟორდანია***
*18 წლის, თბილისი*

**— „რეინჯერსში“ ზურაბ ხიზანიშვილის გარდა ვისთან გაქვთ ყველაზე ახლო ურთიერთობა?**

— ამ დროისთვის გამორჩეულად არავისთან, ადრე კი რონალ დე ბურთან, სანამ ის „რეინჯერსიდან“ წავიდოდა.

***გიორგი მელაძე***
*17 წლის, თბილისი*

**— თანამედროვე ფორვარდებიდან მსოფლიოში საუკეთესოდ ვის მიიჩნევთ?**

— ისეთი ფორვარდი, რომლის თამაშის ყურებით ხოში მოვიკლა, არ მეგულება. დავჯდე და ფეხბურთელის თამაშით ვისიამოვნო, ასეთი ჩემთვის მხოლოდ ზინედინ ზიდანია.

***ალეკო ნიკოლაიშვილი***
*18 წლის, თბილისი*

**— სამი წელია, მუხლის ტრავმა მაქვს. შეგიძლია, დამეხმარო და ვინმე ექიმი მიმასწავლო?**

— თბილისში რომ ჩამოვალ, გაზეთ „სარბიელის“ საშუალებით დამიკავშირდი და აუცილებლად დაგეხმარები.

***რატი,*** *თბილისი*

**— ნაკრებში ყველაზე უფრო რომელ თავდამსხმელთან გიადვილდება თამაში, ვის ისურვებდი პარტნიორად თავდასხმაში?**

— ნაკრებში საუკეთესოები თამაშობენ და ვინც იქნება, ნებისმიერთან დიდი სიამოვნებით ვითამაშებ, მთავარია, მათ სიამოვნებდეთ ჩემთან თამაში.

***ლევან სეფერთელაძე***
*24 წლის, თბილისი*

**— რომელია თქვენი საუკეთესო მატჩი ეროვნულ ნაკრებში და რომელია ჩვენი ნაკრების საუკეთესო მატჩი?**

— ჩვენმა ნაკრებმა რამდენიმე კარგი მატჩი ითამაშა — შინ ბულგარეთთან და პოლონეთთან, ბოლო მატჩებიც დალაგებულად ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, გამოსარჩევია რუსეთთან მატჩიც — თამაშის ხარისხი მაღალი არ ყოფილა, მაგრამ გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო. ჩემს გამორჩეულ სანაკრებო თამაშებს რაც შეეხება, ასეთი იყო შინ უელსთან, უნგრეთთან და ალბანეთს 2:0 რომ მოვუგეთ, თუმც მაინც რთული შეკითხვაა, ნაკრებში ხომ არცთუ ცოტა, 52 მატჩი მითამაშია.





# შევჩენკო ალაპარაკდა
## ბოდიში, მაგრამ ფეხბურთი თამაშია



**ანდრეი შევჩენკოს** ყბა-სახის ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ექიმები კმაყოფილები არიან, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა, ჯერაც უცნობია. კვირის ბოლომდე უკრაინელმა ყოველგვარი დატვირთვისგან უნდა დაისვენოს, ხოლო მომავალ ორშაბათს ან სამშაბათს კვლავ გულმოდგინედ გაავარჯიშებს.

„როგორც ყოველთვის, ახლაც ვეცდები, უფრო მალე მოვმჯობინდე, ვიდრე ელოდებიან. თუმცა ეს ტრავმა ადრინდელებისგან ძალიან განსხვავდება. გაირკვა, რომ 4-5 ადგილას მაქვს მოტეხილობა, ხოლო დარტყმა ოდნავ ზემოთ რომ მიმეღო, ბევრად სავალალო მდგომარეობა იქნებოდა. შესაძლოა, გონზე რამდენიმე თვესაც ვერ მოვსულიყავი ან საერთოდ ვეღარც მეცოცხლა. ვფიქრობ, ასეთი ტრავმა არასოდეს არავის მიუღია და ნამდვილად არავის ვუსურვებ, ეს განიცადოს" — ამბობს „შევა".

როგორც იცით, „მილანის" უკრაინელ სუპერფორვარდს ეს ტრავმა კალიარელმა სიმონე ლორიამ მიაყენა, რომელმაც შემდგომში რამდენჯერმე მოიბოდიშა. შევჩენკომ მცირე კომენტარი ამაზეც გააკეთა: „ცხადია, მისი ბოდიში მივიღე, მაგრამ მაინც აჯობებს, ყველას გვახსოვდეს, რომ ფეხბურთი თამაშია და არა ომი".

ბოლოს დავძენთ, რომ მილანელი მედიკოსები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ შევჩენკოს შესაძლოა, მარტის ბოლომდე მოუწიოს უქმობა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ვენგერის ღია კარის დღე
## ვისაც გნებავთ, მობრძანდით



**ფრანგმა** არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს იენს ლემანს გუნდიდან გაუშვებს.

მოგეხსენებათ, ლონდონის „არსენალის" მეკარე გერმანელი მეკარის თამაშით ერთობ უკმაყოფილოა. კრიტიკოსებმაც იენს ლემანს არაერთი შეცდომა დაუთვალეს და მისი ათვალწუნების მიზეზიც სწორედ ესაა. გერმანელის გზას სავარაუდოდ, ესპანელი მანუელ ალმუნიაც გაუყვება, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება.

მაშ, ლემანი, ალმუნია თუ არა, ვინ უნდა ჩადგეს „არსენალის" კარში? ბუნებრივია, კითხვა თქვენაც დაგებადათ.

ვინ და არსენ ვენგერს „არსენალში" თურმე „ჩელსის" იტალიელი მეკარის, კარლო კუდიჩინის გადაყვანა სურს და ამ საქმის მოგვარებას სეზონის დასრულებისთანავე დაიწყებს, თუ ცხადია, ლამის მტრად მოკიდებულ ჟოზე მაურინიუს დაიყაბულებს. პორტუგალიელმა ხომ ადრევე თქვა, სულაც არ ვაპირებ, კონკურენტებს ჩემი ფეხბურთელები მივყიდოო.

არის კიდევ ერთი სათადარიგო ვარიანტიც — „მილანის" გოლკიპერი კრისტიან აბიატი, რომელიც ბრაზილიელი ნელსონ დიდას ჩრდილში აგერ უკვე მესამე წელია იმყოფება. თანაც აბიატი ლონდონელთათვის „უცხო ხილი" ნამდვილად არაა, კრისტიანს „არსენალის" სკაუტებმა თვალი ადრეც რამდენჯერმე დაადგეს.

**მაჰა ხუციშვილი**

# რაიკარდი ბელეტის ვერ დაუცდის
## დღეს კატალონიური დერბია

**„ბარსელონას"** ბრაზილიელი მცველი ჟულიანო ბელეტი გასულ უქმეებზე რომ დაშავდა, გეცოდინებათ. შედეგად, ბელეტის თამაში დღეს გამორიცხულია — „კამპ ნოუზე" ფრანკ რაიკარდის შეგირდი ტრიბუნიდან თუ უქომაგებს მეგობრებს „ესპანიოლთან" დერბიში.

ბრაზილიელი წინა ტურში, ნუმანსიელ რომეოსთან შეჯახებისას დაშავდა, მარჯვენა ფეხი იტკინა. „ბარსას" ექიმების განცხადებით, ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ მაინც აჯობებს დაისვენოსო.

ფრანკ რაიკარდიც ცხადია, უკვე მის შემცვლელზე ფიქრობს და როგორც ჩანს, მოიფიქრა კიდეც — ბელეტის ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფლანგზე ახალგაზრდა დამია დადგება.



„ბარსელონას" ლაზარეთში ჟულიანო ბელეტი დაბრუნდა

„ჟულიანო ბელეტი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა, ამიტომ „ესპანიოლთან" მისი არყოფნა ძალიან სამწუხაროა. მაგრამ, გულშემატკივრები მინდა დავამშვიდო: საბედნიეროდ, გუნდში მის გარდა, კიდევ გვყავს კარგი ფეხბურთელები" — განუცხადა რაიკარდმა კატალონიურ „ელმუნდო დეპორტივოს".

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუპორი



**გერმანული** „ბაიერნის" ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი გასულ უქმეებზე „ფრაიბურგთან" მატჩში დაშავდა. ექიმების ვარაუდით, 34 წლის ვეტერანს დაახლოებით 3-4 კვირა უქმობა მოუწევს. შესაბამისად, იგი ბუნდესლიგის შეხვედრების გარდა ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან" საპასუხო თამაშსაც გამოტოვებს.

**იტალიური** „ლეჩეს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდის ჩეხ თავკაც ზდენეკ ზემანთან გააახანგრძლივოს კონტრაქტი. გავრცელებული ინფორმაციით, სეზონის ბოლოს მხარეები ახალ, ერთწლიან შეთანხმებას გააფორმებენ. „ჩვენ ახალი გუნდის შენება დავიწყეთ და ზემანი ამისთვის აუცილებელია. მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ" — აღნიშნა „ლეჩეს" პრეზიდენტმა რიკო სემერარომ.

**ჰოლანდიური** „აიაქსს" მალე ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. როლანდ კუმანმა გუნდიდან წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც უეფას თასიდან გავარდნენ. ამსტერდამელთა ხელმძღვანელობა რამდენიმე დღე ეცადა მის გადარწმუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ამჟამად „აიაქსის" შეფობა მის შემცვლელს ძიებაშია. პრესაში ორი კანდიდატი ფიგურირებს — „ტოტენჰემის" თავკაცი მარტინ იოლი და „ბარსელონას" მეორე მწვრთნელი ჰენკ ტენ კატე.

**ინგლისური** „მანჩესტერის" კაპიტანი როი კინი კლუბის უფროსობას რაიან გიგზთან კონტრაქტის გახანგრძლივებას სთხოვს. „ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გიგზი, რონალდო, დაფი და რობენი არიან, ძალიან ცოტაა. ამიტომ მათ ყველა უნდა გაუფრთხილდეს. თანაც ჰაბეკები ტრადიციულად 2-3 წელი თუ ძლებენ მაღალ დონეზე, რაიანი კი უკვე რა ხანია, ბრწყინავს" — განაცხადა ირლანდიელმა.

**ფრანგული** „ლიონისა" და განის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველ მიკაელ ესიენით ოთხი ევროპული გრანდი ყოფილა დაინტერესებული. „შემიძლია, ვივარაუდო, რომ მიკაელი „ლიონს" სეზონის ბოლოს დატოვებს. მისი შეძენა „ბარსელონას", „არსენალს", „მანჩესტერს" და „იუვენტუსს" სურთ. ჯერჯერობით ყველაზე მეტად ტურინელები აქტიურობენ. მათი ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა უკვე რამდენჯერმე დამიკავშირდა" — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ფაბიენ კოვეტომ.

**იტალიურმა** „კიევომ" ბრაზილიის ნაკრებისა და „ფლამენგოს" გოლკიპერ ჟულიო სეზარ სოარეშთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. წესით, 24 წლის სამხრეთამერიკელი მომავალი სეზონიდან შეეჯიბრება „მფრინავ ვირებს" და ვეტერან ლუკა მარკეჯანის შეცვლის. „იტალიაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და ძალიან მიხარია, რომ ამის შანსი მაქვს" — თქვა მეკარემ.

**ინგლისური** „მანჩესტერის" ბრაზილიელი ნახევარმცველის კლებერსონის სამშობლოში დაბრუნება ფაქტობრივად გადაწყვეტილია. იგი „წითელ ეშმაკებს" აშკარად ვერ მორგო და, საერთო აზრით, აჯობებს, გუნდი დატოვოს. მისი შეძენა „კორინთიანსს" სურს და სავარაუდოდ მალე მიაღწევს კიდეც მიზანს. ბრაზილიური კლუბის წარმომადგენლების თქმით, მცირე დეტალებიღაა შესათანხმებელი.

**ესპანური** „ატლეტიკოს" თავკაცი სეზარ ფერანდო სეზონის ბოლოს მადრიდს დატოვებს. იგი უკმაყოფილოა, რომ კლუბის უფროსობა მის შეხედულებებს არ იზიარებს და არასწორი მიმართულებით აწარმოებს სატრანსფერო პოლიტიკას. თავის მხრივ, არც გუნდის ბოსობაა ფერანდოს მუშაობით აღფრთოვანებული. რაც არ უნდა მოხდეს მიმდინარე სეზონის ბოლოს მხარეები კონტრაქტს ალბათ გააბათილებენ.

**იტალიურმა** „რომამ" ვინჩენცო მონტელას აგენტთან ახალ კონტრაქტზე დაიწყო მოლაპარაკება. დედაქალაქელებს სურთ მოქმედი შეთანხმება 2009 წლამდე გააგრძელონ, რაზეც მონტელა თანახმაა, მაგრამ წელიწადში 1 მილიონ ევროს ითხოვს. გავრცელებული ცნობით, რომაელები მალე ფრანჩესკო ტოტისთან და ანტონიო კასანოსთანაც დაიწყებენ მოლაპარაკებას.

**ინგლისური** „ჩელსის" ახალგაზრდა ნახევარმცველი არიენ რობენი მოედანს უფრო ადრე დაუბრუნდება, ვიდრე ელოდნენ. მისი სარეაბილიტაციო კურსი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ექიმები არ გამორიცხავენ, რომ 21 წლის ფეხბურთელმა „ბარსელონასთან" საპასუხო მატჩში თამაში შეძლოს. თუმც საბოლოო სიტყვა ჟოზე მაურინიუზე იქნება, რომელიც ალბათ არ გარისკავს და ჰოლანდიელის ბოლომდე მომჯობინებას დაუცდის.

**ესპანური** „სოსიედადის" რუსმა ნახევარმცველმა ვალერი კარპინმა გადაწყვიტა, სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს. „უკვე საბოლოოდ მოვიფიქრე, ფეხბურთიდან ნამდვილად წავალ. ჩემს გადარწმუნებას ვეღარავინ შეძლებს. დროა, ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმო" — თქვა ვეტერანმა.

**გერმანული** „ბაიერნი" ხარჯების შემცირებას აპირებს და ამისთვის თავის ორ ფეხბურთელთან განშორება გადაუწყვეტია. მოუნხენელთა ხელმძღვანელობის თქმით, ბრაზილიელ ზე რობერტოსთან და ხორვატ ნიკო კოვაჩთან ახალი კონტრაქტები აღარ გაფორმდება. შესაბამისად, ისინი მომავალი ზაფხულს გუნდს დატოვებენ.



# ჩემი ჯილა ჩემთან

## მილანმა ჯილარდინო 15 მილიონად დაიბევა

**იტალიის** ჩემპიონმა „მილანმა“ თავის მიზანს მაინც მიაღწია და პარმელი ალბერტო ჯილარდინოს ხელში ჩაგდება შეძლო. იტალიური პრესა იუწყება, რომ მხარეებმა უკვე საბოლოოდ მოილაპარაკეს, ხოლო თუ რაზე, ახლავე მოგახსენებთ:

გასულ პარასკევს მილანელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ახალგაზრდა ფორვარდის აგენტს შეხვედრია და სავარაუდოდ, ყველაფერი სწორედ მაშინ გადაწყდა. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, საქმე ასეა — ალბერტო ჯილარდინო წლევანდელ სეზონს „ენიო ტარდინიზე“ ჩაამთავრებს, რის მერეც „როსონერის“ შეუერთდება და თავის ახალ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო „პარმა“ მის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას მიიღებს.

მოგეხსენებათ, „მილანი“ დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა ჯილარდინოს შეძენას, მაგრამ სერიოზული კონკურენტები ჰყავდა ტურინის „იუვენტუსისა“ და მადრიდის „რეალის“ სახით, თუმც ტურინელები „პარმას“ მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდაზე იყვნენ უარს, ხოლო ესპანეთში წასვლა თავად ფორვარდს მაინცდამაინც არ ხიბლავდა. მან რამდენჯერმე თქვა — იტალიაში დარჩენა მწადიაო და საბოლოოდ „შავ-წითელთა“ შეთავაზებას დათანხმდა.

ერთი სიტყვით, ჯილარდინოს „მილანში“ გადასვლა ავტომატურად იონ დალ ტომასონის გუნდიდან წასვლას ნიშნავს. დანიელი ფორვარდი ახლა ვერ ხვდება „როსონერის“ ძირითად შემადგენლობაში და ჯილარდინოს მისვლის შემდეგ ხომ მთლად უშანსოდ დარჩება. როგორც ამბობენ, ახალ კლუბს უკვე თავად ტომასონიც ეძებს. მისით ინგლისური და ესპანური გუნდები ყოფილან დაინტერესებულნი.

ბუნდოვანია ერნან კრესპოს მომავალიც — „მილანის“ შეფების აზრით, „ჩელსი“ არგენტინელში კვლავ დიდძალ თანხას ითხოვს. თუმც უფროსობა მაინც თვლის, რომ კრესპოს შენარჩუნება საჭიროა და ისინი ყველანაირად ეცდებიან ლონდონელებთან საერთო ენა გამონახონ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ფერგიუსონმა თითი ლონდონისკენ გაიშვირა

**სერ** ალექს ფერგიუსონმა თქვა, ჩემი აზრით, „ბარსელონა“ — „ჩელსის“ მატჩის შემდგომი ჩხუბი ლონდონელთა წამოწყებულიაო.

გეხსომებათ, რომ ჟოზე მაურინიუმ ფრანკ რაიკარდისა და მსაჯ ანდერს ფრისკის საუბარი ჯერ გააპროტესტა, მერე კი ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, გასახდელთა გვირაბში კი ჩელსელთა მეკარეების მწვრთნელი და რაიკარდის თანაშემწე წაკინკლავდნენ.

ფერგიუსონმა განაცხადა: „მაურინიუს იმდენად კარგად არ ვიცნობ, რომ არევის ასეთი ტაქტიკა მას მივაწერო, თუმც მსგავსი რამ ჩვენი და „ჩელსის“ თამაშის შემდეგაც მოხდა. ბარსელონელები ამბობენ, დაკა-დაკა სტუმრებმა წამოიწყესო, ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. მაშინ ლონდონელთაგან ერთ-ერთი გვირაბში მომიახლოვდა და ჩემს გამოწვევას ცდილობდა, მაგრამ პროვოკაციას არ ავყევი“.



**გაჟა ხუციშვილი**

# ხმა, კრინტი...

## მაურინიუმ, დასამტკიცებელი რა მაქვსო

**ჟოზე მაურინიუს** სიხარულიც ისეთივე უცნაური აქვს, როგორც სიბრაზე.

კვირას, მძიმე ბრძოლაში „ლივერპულისთვის“ მოგებული ლიგის თასი მისი პირველი ინგლისური ჯილდო იყო, ოღონდაც „ჩელსის“ პორტუგალიელი მენეჯერი მინდვრის კიდიდან გააძევეს.

როდესაც „ჩელსიმ“ ანგარიში გაუთანაბრა „ლივერპულს“, მაურინიუმ ტუჩებზე თითი მიიდო, აქაოდა დაგადუმეთ თუ არაო, რითაც, ცხადია, შეურაცხჰყო „ლივერპულის“ ფანობა.

ფინალის მერე, გაძევებულმა მწვრთნელმა სულ სხვაგვარად ახსნა თავისი საქციელი, მე მეტოქეს კი არ ვანიშნებდი, ხმა გაიკმინდეთ-მეთქი, არამედ ინგლისურ მედიასო.

„პრესა თუ ტელევიზია ძალიან ბევრს ლაქლაქებს და ჩემი აზრით, ძალიან უშლის ხელს „ჩელსის“. გვაცალეთ, წინდაწინ ნუ ლაპარაკობთ“ — თქვა მაურინიუმ.

საპასუხო გოლმა „ჩელსის“ თავკაცი მართლაც ძალიან გაახარა: თამაშის დასრულებამდე 11 წუთიღა რჩებოდა, „ლივერპული“ კი მატჩს მე-6 წუთიდან იგებდა. თანაც, ეს საპასუხო სტივენ ჯერარდმა გაიტანა საკუთარ კარში. სწორედ ამ დროს მიუტრიალდა მაურინიუ ლივერპულელთა ტრიბუნას და ანიშნა, დადუმდითო. ის, რომ მან ჟესტით მედიას მიმართა, ტყუილია, რადგან კარდიფის „მილენიუმზე“ პრესლოჟა სწორედ საპირისპირო მხარესაა და არა იქ, საითაც მაურინიუ მიტრიალდა.

თამაშის დარჩენილ 11 წუთსა და დამატებით დროს „ჩელსის“ მენეჯერმა სტადიონის შიდა ოთახებში, მონიტორზე უყურა. თუმცა, როგორც ამბობს, ამაზე არ უნერვიულია. „რას ვიზამთ, აქ ვმუშაობ და აქაური ქუდიც უნდა დავიხურო. ჩვენ ორი თამაში წავაგეთ და მედიამ ჯვარს გვაცვა. მათ უნდათ ჩვენ პატივი ვცეთ, თვითონ კი საერთოდ არ გვცეს პატივი. ჩემზე



დაწოლა არ მოქმედებს. აქ წერენ, რომ რაღაცეები უნდა დავამტკიცო ინგლისურ ფეხბურთში. სერ ალექს ფერგიუსონი ერთადერთი კაცია ქვეყანაში, ჩემპიონთა თასი რომ მოუგია. მე რა უნდა დავამტკიცო? პირადად ჩემთვის, ლიგის თასის მოგება განსაკუთრებული არაფერი იყო. უბრალოდ, კიდევ ერთი თასია, მაგრამ მაინც გამეხარდა. ფანებს და კლუბს კი ეს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

**ირაკლი გამყრელიძე**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXII ტური

ტრაბზონი — დენიზლი 3:0; ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი 3:0; კონია — ქაისერი 3:1; ბეშიქთაში — საქარია 2:1; ფენერბაჰჩე — სებათი 2:0; დიარბაქირი — გენჩლერი 1:3; ანკარა — მალათია 3:0; რიზე — ისთანბული 1:1; სამსუნი — გალათასარაი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 22 | 18 | 2 | 2 | 58:10 | 56 |
| ტრაბზონი | 22 | 16 | 4 | 2 | 44:13 | 52 |
| გალათასარაი | 22 | 16 | 3 | 3 | 42:14 | 51 |
| ბეშიქთაში | 21 | 12 | 5 | 4 | 46:26 | 41 |
| რიზე | 22 | 9 | 7 | 6 | 25:18 | 34 |
| დენიზლი | 22 | 10 | 4 | 8 | 31:28 | 34 |
| მალათია | 22 | 9 | 4 | 9 | 29:31 | 31 |
| ანკარა | 22 | 8 | 5 | 9 | 30:30 | 29 |
| კონია | 22 | 6 | 10 | 6 | 40:42 | 28 |
| გაზიანთეფი | 22 | 8 | 4 | 10 | 31:34 | 28 |
| გენჩლერი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:29 | 26 |
| სამსუნი | 22 | 7 | 4 | 11 | 28:41 | 25 |
| დიარბაქირი | 22 | 7 | 4 | 11 | 22:36 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 6 | 6 | 9 | 19:29 | 24 |
| საქარია | 22 | 5 | 3 | 14 | 26:48 | 18 |
| ისთანბული | 21 | 3 | 8 | 10 | 19:33 | 17 |
| ქაისერი | 22 | 4 | 3 | 15 | 27:53 | 15 |
| სებათი | 22 | 1 | 7 | 14 | 21:50 | 10 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIX ტური

აარაუ — ქსამაქსი 1:2; სენტ გალენი — ბაზელი 3:1; ციურიხი — შაფჰაუზენი 2:0; გრასჰოპერი — იანგ ბოისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 19 | 10 | 5 | 4 | 37:23 | 35 |
| ქსამაქსი | 19 | 9 | 4 | 6 | 28:23 | 31 |
| თუნი | 18 | 8 | 4 | 6 | 26:18 | 28 |
| ციურიხი | 19 | 8 | 4 | 7 | 28:25 | 28 |
| იანგ ბოისი | 19 | 6 | 7 | 6 | 32:30 | 25 |
| აარაუ | 19 | 6 | 5 | 8 | 27:28 | 23 |
| გრასჰოპერი | 19 | 5 | 8 | 6 | 17:27 | 23 |
| სენტ გალენი | 19 | 5 | 7 | 7 | 26:30 | 22 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 20 |
| შაფჰაუზენი | 19 | 3 | 7 | 9 | 21:34 | 16 |

*„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ჩელენჯლიგა. XVIII ტური

ივერდონი — შო დე ფონი 1:1; კიასო — მეირინი 2:0; ლუგანო — ვინტერთური 3:0; ვადუცი — იუვენტუსი 4:0. *ბოლმი — კონკორდია, ბულე — ვოლენი, ლუცერნი — კრიენსი, სიონი — ბელინცონა და ვილი — ბადენი გადაიდო*

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XX ტური

არისი — პაოკ 1:3; ერგოტელისი — ქსანთი 0:2; ირაკლისი — ოფი 1:0; ოლიმპიაკოსი — ხალკიდონა 3:0; პანათინაიკოსი — კერკირა 1:0; კალამარია — ეგალეო 1:1; იონიკოსი — პანიონიოსი 0:0; კალითეა — აეკ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 13 | 5 | 2 | 37:11 | 44 |
| პანათინაიკოსი | 20 | 13 | 3 | 4 | 35:12 | 42 |
| აეკ | 20 | 11 | 8 | 1 | 30:16 | 41 |
| ქსანთი | 20 | 10 | 6 | 4 | 32:21 | 36 |
| პაოკ | 20 | 9 | 4 | 7 | 29:26 | 31 |
| ეგალეო | 20 | 5 | 11 | 4 | 18:16 | 26 |
| ირაკლისი | 20 | 7 | 4 | 9 | 18:21 | 25 |
| ხალკიდონა | 20 | 6 | 7 | 7 | 18:21 | 25 |
| პანიონიოსი | 20 | 6 | 7 | 7 | 14:17 | 25 |
| ოფი | 20 | 6 | 5 | 9 | 26:29 | 23 |
| კალითეა | 20 | 5 | 7 | 8 | 29:32 | 22 |
| იონიკოსი | 20 | 4 | 8 | 8 | 14:25 | 20 |
| არისი | 20 | 3 | 10 | 7 | 17:24 | 19 |
| ერგოტელისი | 20 | 5 | 4 | 11 | 17:33 | 19 |
| კალამარია | 20 | 3 | 7 | 10 | 16:34 | 16 |
| კერკირა | 20 | 3 | 6 | 11 | 15:27 | 15 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა XVII ტური

ტეპლიცე — ბოლესლავი 1:1; ბლშანი — ზლინი 2:0; ბუდეიოვიცე — ბანიკი 0:1; სლოვაცკო — ბრნო 1:2; სლავია — სიგმა 3:2. *დრნოვიცე — იაბლონეცი და პრჟიბრამი — ლიბერეცი გადაიდო, ოპავა — სპარტა (იხ. მე-2 გვერდზე)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 12 | 3 | 1 | 32:10 | 39 |
| სლავია | 17 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 31 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 7 | 2 | 17:13 | 31 |
| ლიბერეცი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:9 | 29 |
| იაბლონეცი | 16 | 7 | 5 | 4 | 18:14 | 26 |
| სიგმა | 17 | 8 | 2 | 7 | 19:18 | 26 |
| სლოვაცკო | 17 | 5 | 7 | 5 | 14:12 | 22 |
| ბანიკი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| ზლინი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:21 | 21 |
| ბლშანი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:22 | 19 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 14:24 | 19 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| ბოლესლავი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:21 | 16 |
| ოპავა | 16 | 3 | 6 | 7 | 17:22 | 15 |
| პრჟიბრამი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:29 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 2 | 5 | 10 | 14:21 | 11 |

## არგენტინა

### კლაუსურა. III ტური

ბოკა ხუნიორსი — ოლიმპო 3:1; ხიმნასია — სან ლორენსო 3:1; ურაკანი — ოლდ ბოიზი 0:2; კოლონი — არსენალი 0:2; ინსტიტუტო — რასინგი 0:1; ველესი — ალმაგრო 0:0; ინდეპენდიენტე — ლანუსი 0:1; არგ. ხუნიორსი — რივერ პლეიტი 3:3; როსარიო — კილმესი 1:0; ბანფილდი — ესტუდიანტესი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ესტუდიანტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| რივერ პლეიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| როსარიო | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| რასინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| ხიმნასია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ოლდ ბოიზი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კილმესი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| არგ. ხუნიორსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ინსტიტუტო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოლიმპო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სან ლორენსო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ალმაგრო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ინდეპენდიენტე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ველესი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| ურაკანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ბანფილდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 0 |
| კოლონი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

## სერბეთი

### პრვა ლიგა XVIII ტური

ბორაცი — ცრვენა ზვეზდა 0:2; ბუდუჩნოსტი — ზემუნი 0:1; ჰაიდუკი (კ) — ჩუკარიჩკი 1:0; ობილიჩი — ვოივოდინა 1:0; სარტიდი — ჰაიდუკი (ბ) 1:1; ჟელეზნიკი — ოფკ 3:2. *პარტიზანი — სუტიესკა და რადნიჩკი — ზეტა გადაიდო*

## მექსიკა

### კლაუსურა VII ტური

ამერიკა — ნეკაქსა 2:0; პუებლა — ხაგუარესი 1:0; ტეკოსი — ტოლუკა 4:2; ვერაკრუსი — პაჩუკა 1:2; კრუზ ასული — უნამი 2:2; დორადოსი — მორელია 0:1; ტიგრესი — ატლანტე 2:1; ატლასი — გვადალახარა 2:3

## იტალია

**სერია A. XXVI ტური**

**ინტერი 0:1 მილანი**

0:1 კაკა (74)

**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ხ. ვერონი (ემრე 73), კამბიასო (ადრიანო 80), კ. ძანეტი (ვან დერ მეიდე 85), დ. სტანკოვიჩი, ვიერი, ო. მარტინსი

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო 37), გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 80), რუი კოშტა (კოსტაკურტა 65), კაკა, კრესპო

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**გაფრთხილება:** ზეედორფი, ვერონი, კაფუ, ემრე

**მსაჯი:** დე სანტისი

**82 000 მაყურებელი**

# მადონისას შავ-წითელი ღიმილი

## ინტერი: ARRIVEDERCI SCUDETTO!



260-ე „დერბი დელა მადონინა" ამ ფოტოსავით ეფექტური ნამდვილად არ იყო

**კარლო ანჩელოტის** თქმით, მის „მილანს" „ინტერთან" გამარჯვებაში იღბალმა შეუწყო ხელი, თუმცა ის აგრეთვე დარწმუნებულია, რომ „შავ-წითლები" იღბლის მხარდაჭერას იმსახურებენ — კვირა საღამოს, სერია A-ს 26-ე ტური ეგრეთწოდებული „დერბი დელა მადონინათი" ანუ „სან სიროს" ბინადარი ორი მოძულე გუნდის დაპირისპირებით დასრულდა. ეს მილანურ დერბითა ისტორიაში 260-ე დაპირისპირება გახლდათ.

როგორც უკვე იცით, შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა, 74-ე წუთზე „შავ-ლურჯების" კარში გოლი ბრაზილიელმა კაკამ გაიტანა. შედეგად, იტალიის პირველობაზე ისევ ორხელისუფლებიანობაა — ჩემპიონ „მილანსა" და „იუვენტუსს" ქულების თანაბარი რაოდენობა, 57-57 აქვთ.

„ძალიან გაწონასწორებული შეხვედრა იყო, რომელიც ძირითადად მოედნის შუაში მიმდინარეობდა. ჩვენი დაცვის კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება იღბალს, იგი მამაცებს შეეწევა — ჩვენ თავად აიყვანეთ თავი იმ მდგომარეობამდე მაშინ, როდესაც იღბლის პატარა ხელშეწყობას გადამწყვეტი ძალა ეძლევა. პირველ ტაიმში „ინტერმა" ძალიან კარგად ითამაშა. ჩვენ კი აშკარა სერიოზულ ზეწოლას გავუძელით, რაც უპირველეს ყოვლისა ცენტრალური მცველების დამსახურება გახლდათ" — ამბობს ანჩელოტი.

მართლაც, ბოლო შეხვედრებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მილანს" მწვანე შუქი აქვს ანთებული, თამაშის მიწურულს გატანილი თითო გოლით იმარჯვებს, ხოლო „რეჯინამ" სულაც კომიკური ავტოგოლით მოაგებინა.

„მნიშვნელობა მხოლოდ ერთ რამეს აქვს, ჩვენ ცხრილის სათავეში ვართ და ვფიქრობ, სკუდეტოსთვის მეტად სასიერო და მომაჯადოვებელი ბრძოლა გაიმართება, რომელიც წესით ბოლო დღემდე უნდა გაგრძელდეს" — დასძენს „როსონერის" თავკაცი.

„ინტერთან" კარლო ანჩელოტიმ იგივე თერთმეტი ფეხბურთელი ათამაშა, რომელთაც გასული კვირის შუაში, მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე" ენდო.

„დღეს იმ მატჩისგან ოდნავ განსხვავებულ სტილში გვინდოდა თამაში, რადგან „ინტერის" განსაკუთრებული შეტევის შეზღუდვა იყო საჭირო. გარდა ამისა, ფლანგებზე, სივრცეების შექმნა გვჭირდებოდა, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მაინც და მაინც ვერ მოვახერხეთ".

ჩვენთვის სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ 37-ე წუთზე დაშავდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი, გუშინწინდელი დღის იუბილარი კახა კალაძე, იგი ბრაზილიელმა სერჟინიომ შეცვალა.

„მინდოდა, სერჟინიოს [...] დან გამომდინარე, აქცენტი [...] ხმაზე მეტად გაეკეთებინა. ეს განსაკუთრებით სასარგებლო ბოლო წუთებში იქნებოდა, როდესაც „ინტერი" დაიღალა და ასეთი ტიპის შეტევისადმი მტკიცე აღარ იყო, მაგრამ კალაძის დაშავებამ გეგმები აგვირია" — დაასკვირგვინა ანჩელოტიმ.

ერთადერთი გოლის ავტორმა კაკამ კი განაცხადა:

„მილანური დერბი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია და ბედნიერი ვარ, რომ მეც, ამ სეზონში დაბედებული უიღბლობისა და ბურთის ძელისთვის მრავალგზის გარტყმის შემდეგ, სწორედ დერბიში დამიბრუნდა იღბალი. საერთოდაც, ამ ეტაპზე იღბალი თან გვსდევს და ხშირად, ბოლოწამს გვაგებინებს თამაშებს, თან მაშინ, როდესაც მთლად საუკეთესო ფორმაშიც არ ვართ."

ბოლოს „ინტერის" პრეზიდენტ ჯაჩინტო ფაკეტის მოკლე კომენტარსაც გაეცანით: „მიმძიმს შეგუება, მაგრამ იძულებული ვარ, ჩვენთვის სკუდეტოზე კიდევ ერთხელ ოცნება, უკვე დამთავრდა".

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 26 | 17 | 6 | 3 | 44:16 | 57 |
| იუვენტუსი | 26 | 17 | 6 | 3 | 43:15 | 57 |
| სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 30:20 | 44 |
| ინტერი | 26 | 9 | 16 | 1 | 47:31 | 43 |
| უდინეზე | 26 | 12 | 6 | 8 | 36:26 | 42 |
| პალერმო | 26 | 11 | 9 | 6 | 28:19 | 42 |
| რომა | 26 | 10 | 8 | 8 | 45:38 | 38 |
| ლეჩე | 26 | 9 | 8 | 9 | 45:45 | 35 |
| რეჯინა | 26 | 9 | 8 | 9 | 27:29 | 35 |
| კალიარი | 26 | 9 | 7 | 10 | 36:42 | 34 |
| ბოლონია | 26 | 8 | 9 | 9 | 26:25 | 33 |
| ლაციო | 26 | 9 | 6 | 11 | 34:36 | 33 |
| ლივორნო | 26 | 8 | 7 | 11 | 26:33 | 31 |
| მესინა | 26 | 7 | 8 | 11 | 29:40 | 29 |
| კიევო | 26 | 7 | 7 | 12 | 21:37 | 28 |
| ფიორენტინა | 26 | 6 | 9 | 11 | 25:34 | 27 |
| პარმა | 26 | 6 | 8 | 12 | 27:42 | 26 |
| სიენა | 26 | 4 | 13 | 9 | 24:38 | 25 |
| ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 18:32 | 23 |
| ატალანტა | 26 | 3 | 9 | 14 | 22:35 | 18 |

# ტრაქტორი ზეწოლის ქვეშ

## ხავიერ ძანეტი: ყველაფერი ან არაფერი

*რამდენი ხანია, რაც მილანის „ინტერის" მარჯვენა ფრთას, დაცვასა თუ ნახევარდაცვას არგენტინელი ხავიერ ძანეტი აკონტროლებს? მშობლიური „ბანფილდიდან" გადაბარგების შემდეგ, ესე იგი 1995-1996 წლების სეზონიდან — ანუ ათი წელიწადი გამოდის.*

*დღეს, 31 წლის ძანეტი, მეტსახელად „ილ ტრატორე" ანუ ჩვენებურად ტრაქტორი, მილანელი „შავ-ლურჯების" კაპიტანია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გულში ხინჯად ერთი აქვს, იტალიის ჩემპიონი არასდროს ყოფილა. მისი ყველაზე დიდი მიღწევა 1998 წელს უეფას თასის მოგება გახლავთ.*

*გასულ კვირაში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში, პორტუში ნათამაშევმა 1:1-მა კი სხვა იმედებიც გაალღვივა.*

*ქვემოთ სწორედ ხავიერ ძანეტისთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც „დერბი დელა მადონინას" დაწყებამდე, რამდენიმე საათით ადრე გამოქვეყნდა...*



**— ხავიერ, უკვე ათი წელიწადია, რაც „ინტერში" ხართ, ნუთუ ამ ხნის მანძილზე არასდროს მდგარხართ სხვაგან გადასვლის ცთუნების წინაშე?**

— სხვა გუნდებისგან მართლაც ძალიან ბევრი წინადადება მქონდა, მაგრამ მუდამ „ინტერის" ერთგული ვრჩებოდი, რადგან „ინტერში" ჩამოსვლის დღიდან კარგად მეპყრობიან. აქ პირველი წამიდან, თავს შინ ვგრძნობდი და მუდამ საუკეთესო ურთიერთობა მქონდა, როგორც ქომაგებთან, ასევე კლუბში მომუშავე ადამიანებთან. ხანდახან მეუბნებიან, რომ მე დღევანდელი „ინტერის" ნამდვილი სახე ვარ, რასაც თამამად ვერც ვიმეორებ, მაგრამ ძალიან მეამაყება, გუნდის კაპიტნად რომ ამირჩიეს. ეს ხომ დიადი ტრადიციების კლუბია.

**— როგორ შეეგუეთ ახალ მწვრთნელ რობერტო მანჩინის?**

— მას უყვარს კარგად შესრულებული სწორი ფეხბურთი და ძლიერი ნებისყოფის მქონე ფეხბურთელები. ის თავად იყო ბრწყინვალე ფეხბურთელი და ცდილობს თავისი ცოდნა ახლა ჩვენს, მუხლჩაუხრელად მომუშავე გუნდს გაუზიაროს. ჩვენც, ჩვენი მხრივ, გვინდა „ინტერის" ისტორიაში წარუშლელი კვალი დავტოვოთ. ახლო წარსულში რობერტო მანჩინის ჩვენს ბევრ ფეხბურთელთან ერთად უთამაშია „სამპდორიასა" და „ლაციოში", მაგრამ ახლა მაშინდელ თანაგუნდელობას მნიშვნელობა არ აქვს — როდესაც გადაწყვეტილება აქვს მისაღები, ძველ მეგობრობას არ ითვალისწინებს.

**— „ინტერი" წლეულს, სერია A-სა თუ ჩემპიონთა ლიგაში ჯერაც დაუმარცხებელია. რა შეიცვალა წინა სეზონთან შედარებით?**

— ბევრი ახალი და ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ და ვმუშაობთ იმის მკაფიო ცოდნით, თუ რას ითხოვს კონკრეტულად ჩვენგან მანჩინი. ერთი სიტყვით, ამჯერად ძლიერ ნიადაგზე ვდგავართ და „ინტერის" ისტორიაში დიდებული ფურცლის ჩაწერას ვეშურებით.

**— თქვენ და არგენტინის ნაკრების კიდევ ერთი წევრი, ხუან სებასტიან ვერონი ახლა კლუბშიც ერთად თამაშობთ. მოერგო ვერონი „ინტერს"?**

— ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. სება ყოველთვის დიდებული მოთამაშე გახლდათ. თამაშის დროს ნათლად ჩანს, მეტოქის რამოდენა ყურადღებასა და ენერგიას იზიდავს თავისკენ. ის ჩვენი გამთამაშებელია. ის მუდამ მოწადინებულია ბურთი იხელთოს და თანაგუნდელები აგვათამაშოს.

**— „ინტერს" სკუდეტო 1989 წლის შემდეგ არ მოუგია, ხოლო ევროპულ სარბიელზე, ბოლოს 1998 წელს გაიმარჯვა. ამის გამო რაიმე ზეწოლას ან უხერხულობას ხომ არ გრძნობთ?**

— ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც სათამაშოდ „ინტერში" მოდის, ყველაფრის მოგება ევალება. ამის გამო ჩვენ განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ ვართ. მართლაც ძალიან დიდი ხანია, რაც გუნდს ჯილდო არ მოუგია, ეს კი იმას იწვევს, რომ კრიტიკული მომენტებში ზეწოლა და პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება. გვინდა, ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ ეს შეგრძნება თავიდან.

**— და მაინც, ისე ჩანს, რომ წლეულს სერია A-ში გამარჯვებაზე მეტი შანსი ჩემპიონთა ლიგაში გაქვთ. აქცენტს მართლა ლიგაზე აკეთებთ?**

— ჩვენი საქმე ახლა ასეა — ყველაფერი ან არაფერი. ლიგაში მხოლოდ თექვსმეტი საუკეთესოა დარჩენილი, ჩვენი ამოცანა კი ნათელია, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ. გასაგებია, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ბევრ ძლიერ გუნდთან ჭიდილში ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ რაკი ასეა, ყოველ კონკრეტულ მატჩს სრული პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად უნდა მივუდგეთ. ჩვენთვის ახლა თითოეული შეხვედრა უმნიშვნელოვანესია.

### ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ჯამპიერო კომბი





## დიდი, მდიდარი მოდელიორი

*ვინ იყო ჯამპიერო კომბი? დინო ძოფის გამოჩენამდე საუკეთესო იტალიელი მეკარე. ის გახლდათ 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ნაკრების კაპიტანი. გახლდათ იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანი, რომელიც ქვეყანას მდიდარ ოჯახში მოევლინა, ხოლო ეს ამბავი ტურინში მოხდა, სადაც იყო სტადიონი „პიაცა დარმი" და სადაც მდიდარი თუ ღარიბი ბავშვები ბურთს დასდევდნენ. სპორტის ახალმა სახეობამ ყმაწვილი ჯამპიერო ისე გაიტაცა, რომ სხვა არაფრის გაგონება აღარ სურდა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, მშობლები ამის გამო საერთოდ არ ნერვიულობდნენ*

**ჯამპიერო კომბი** დაიბადა 1902 წლის 20 დეკემბერს. შესაბამისად, იგი გახლდათ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც „ოქროს" თაობას უწოდებდნენ. აქ ფეხბურთელების კი არა, ზოგადად, ადამიანების თაობაზეა ლაპარაკი. ეს ის თაობა იყო, რომელიც თუნდაც მცირე ხნიანი გასეირნებისთვის ნახევარ საათს ემზადებოდა. ამას, როგორც ჩანს, ზედმიწევნით ერგებოდა თავად ჯამპიეროს ბუნებაც. მოგონებებში ვკითხულობთ, რომ მას ძალიან უყვარდა სარკის წინ დგომა და დღის განმავლობაში მთელი საათიც კი შეიძლებოდა მოწესრიგებისთვის დაეთმო. ფეხბურთის ისტორიკოსები გამოთქვამენ არცთუ უსაფუძვლო ვარაუდს, რომ მეკარეთა ჩაცმულობის მოდა და მიმართულება სწორედ კომბისა და მისი სარკიდან იღებს სათავეს. სწორედ ჯამპიერო კომბი გახლდათ ის ადამიანი, რომელიც განუწყვეტელ ექსპერიმენტს ატარებდა თავის ფორმაზე. იმ პერიოდში მეკარეთა სამოსი ან შავი უნდა ყოფილიყო, ანაც ზუსტად ისეთი, როგორიც თანაგუნდელებს ეცვათ. ხშირად მეკარესა და წინ მორბენალ ფეხბურთელს შორის განსხვავება მხოლოდ კეპი იყო. და აი, სწორედ ასეთ პერიოდში ჩვენი წერილის გმირი დადიოდა ატელიებში თერძებთან, რათა მათ მისი კარნახით ახალი ფასონები შეექმნათ.

პირველი, რაც კომბიმ მოიფიქრა, თეთრი ქამარი გახლდათ, შემდეგ კი 30-იან წლებში, მან მეკარის თეთრი ფორმა დაამკვიდრა მოდად, მაგრამ ნება გვიბოძეთ და ამ თემაზე საუბარი აქ დავასრულოთ, თორემ ფეხბურთის ისტორიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი იფიქრებს, რომ წერილი ძლიერ გოლკიპერს კი არა, მოდელიორს ეძღვნება.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჯამპიერო კომბი ტურინელი გახლდათ, ტურინის ხსენებაზე კი პირველი ასოციაცია, ალბათ, „იუვენტუსია". კიდევ, ზემოთ ვახსენეთ, რომ ჯამპიერო მდიდარი ოჯახის შვილი იყო. მას ავტომობილი ჰყავდა, „ფიატი". აქ, უპრიანია ხაზი გავუსვათ, რომ მაშინ მანქანის ყოლა ნამდვილი ფუფუნება იყო. ასე რომ, კომბი ტურინის ქუჩებში მანქანას რომ დააგელვებდა ამაზე მერე რაო, ვერავინ იტყოდა. თან, მიაქციეთ ყურადღება, მან „ფიატი" მშობლების კარგი ნაცნობ-მეგობრებისგან, ანიელებისგან იყიდა, ანიელები კი „ფიატის" მეპატრონეები გახლავან. ერთი სიტყვით, როდესაც ედუარდო ანიელი, „ფიატის" დამაარსებლის ვაჟი, „იუვენტუსის" პრეზიდენტი გახდა, მწვრთნელს 21 წლის კომბის ძირითად გუნდში თამაში პირადად დაავალა.

ჯამპიერო კომბის პირველი მატჩი გახლდათ „სპეციას" წინააღმდეგ, რომელშიაც მან ორი გოლი გაუშვა, შეხვედრა კი ფრედ, 2:2 დასრულდა. მაშინ „იუვენტუსის" მწვრთნელი გახლდათ უნგრელი ჯენო კეროლი — გუნდის ისტორიაში პირველი დიდი თავკაცი. სხვათა შორის, ეს ის პერიოდია, როდესაც ანიელიმ იყიდა სტადიონი, „კორსო მარსელია", რათა მის გუნდს მატჩისთვის საკუთარი, კონკრეტული ადგილი ჰქონოდა. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი „იუვეს" ლეგენდას: კეროლმა აიყვანა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გახლდნენ მუნირატი, გრაბი და რაც მთავარია, როზეტი, რომელმაც მცველ კალიგარისთან და ჩვენი წერილის გმირთან ერთად შექმნა **TRIO DELLA LEGENDA**, ასე და ამგვარად, „იუვენტუსი" დიდ გუნდად იქცა და ლოგიკურია, რომ ჯამპიერო კომბის ვიტორიო პოცომ იტალიის ნაკრებში დაუძახა — დებიუტი შედგა 1924 წელს, უნგრელების წინააღმდეგ შეხვედრაში, რომელიც... 1:7 დასრულდა და კომბიც, ბუნებრივია, ოლიმპიადის მიღმა დაგვირჩა.

1926 წელს „იუვენტუსი" სკუდეტოს იგებს. ეს იყო „იუვეს" მეორე, ხოლო კომბის პირველი ტიტული. სხვათა შორის, მაშინ იტალიის ჩემპიონატში მონაწილეობდა 7 ჯგუფად დაყოფილი 44 გუნდი. ამის შემდეგ კი იყო რამდენიმეწლიანი ჯახირი და... 1930 წლიდან დაიწყო! მეკარედ [illegible] ჯამპიერო კომბის სწორედ მაშინ უწოდეს რეზინის კაცი. მისი დიდი შეწევნით „იუვემ" ოთხი სკუდეტო მოიგო, თუმცა მეხუთე უკვე მის გარეშე.

1928 წელს კომბი მაინც გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. 1927 წელს კი დაიწყო სამწლიანი ტურნირი ევროპის ხუთი ქვეყნის ნაკრებს შორის, რომელიც 1930-ში იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ თასს გერეს თასი ერქვა და „სკუადრა აძურამ" იგი მთელ იტალიაში ჩამოატარა, ხალხს აჩვენა, ტრიუმფი მოიწყო, ოღონდ — ურუგვაიში, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე არ წავიდა. ოკეანის გაღმა რა დაგვრჩენია, როდესაც ისედაც ძალიან ძლიერები ვართო, ამბობდნენ იტალიელები, მაგრამ თურმე არც მთლად ისე ყოფილა საქმე, მათ რომ ეგონათ. ოკეანის გაღმიდან ჩამოვიდა ცნობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ურუგვაი, რომელმაც მათ პარიზის ოლიმპიადაზე მოუგო.

ასე და ამგვარად, მსოფლიოს „მართლა უძლიერესის" ვინაობა 1934 წლის მუნდიალს უნდა გაერკვია. იმ ხანად ნაკრების კარში უფრო კარლო ჩერეზოლი იდგა, მაგრამ საპასუხისმგებლო შეჯიბრების მოახლოება და პოცოს მიერ კარში კომბის დაბრუნება ერთი იყო. მეტიც, იგი კაპიტნად დაასახელეს.

იმ წელიწადს მოგეხსენებათ, „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ურუგვაიზე შური მაინც ვერ იძია, რადგან ახლა ურუგვაიმ არ გადმოლახა ოკეანე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონმა შემდეგ მუნდიალზე არ ითამაშა.

1935 წელს დიდმა გოლკიპერმა კიდევ ერთხელ მოიგო გერეს თასი და ფეხბურთიდან წავიდა.

ჯამპიერო კომბი 1956 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა...

**ბაპუნა ძიძია**



მეკარის ცნობა ვინძლო არ გაგიჭირდეთ — 1934 წელს იტალიის ნაკრების კარს ჯამპიერო კომბი იცავდა

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# დიეგო, გაიკეთე ოპერაცია, თორემ მოკვდები

## მარადონას ოლგინმა ლოგინი გამოუწერა



**დიეგო მარადონას** ჭარბი წონის დასაკლებად მალე შეიძლება ქირურგიული ოპერაცია დასჭირდეს — წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სიცოცხლეს საფრთხე აშკარად ემუქრებაო, აცხადებს ვინმე ფერნანდო ოლგინი, ერთ-ერთი კოლუმბიური კლინიკის, „მედი ჰელფის" მთავარი ექიმი.

მისივე თქმით, არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდისთვის ოპერაციის გაკეთება გადაუდებლად, საჩქარო საქმეა: „მარადონამ სულ ცოტა, 40 კილო მაინც უნდა დაიკლოს. დიეგოს სიმაღლე 1,64 მეტრია, ხოლო წონით 110 კილოგრამს იწონის, რაც ძალიან დიდი შეუსაბამობაა. მან დიდი ხანია თავის ჩვეულ წონას გადააჭარბა და თუ ქირურგიული ჩარევა დროულად არ მოვახდინეთ, მერწმუნეთ, შედეგი ფატალური იქნება".

ოლგინი, რომელმაც მარადონა კოლუმბიური არდადეგების დროს მოინახულა, აცხადებს რომ ოპერაციას დიდ ფეხბურთელს თავად გაუკეთებს: „თუ დიეგო დავითანხმეთ, ოპერაციას, რა თქმა უნდა, მე გავუკეთებ. სახიფათო აქ არაფერია, ჩემს პრაქტიკაში უფრო რთული შემთხვევებიც მქონია, რომელთა მოგვარებაც დადებითად, პაციენტთა სასარგებლოდ შევძელი. ცხადია, უდიდესი პასუხისმგებლობა მეკისრება. ერთი რომ, მარადონაა და მეორე, ჩვენი ექიმების ვალია, ნებისმიერ ადამიანს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ".

დიეგო მარადონა კი ახლა კოლუმბიური ვოიაჟის შემდეგ ბუენოს აირესში იმყოფება და კვირას, „ბომბონერაზე", მშობლიური „ბოკა ხუნიორსის" თამაშს ოჯახითურთ დაესწრო.

მარადონას არგენტინაში დაბრუნების მიზეზი კი ის ყოფილა, რომ მას მამა ჰყოლია ცუდად და ვოიაჟიც ამიტომ შეწყვიტაო, თუმც იქაური გაზეთები იუწყებიან, უფროსი მარადონა ახლა თავს უკეთ გრძნობს და დიეგოც სავარაუდოდ ერთ კვირაში ისევ კოლუმბიას დაუბრუნდება.



# ჯალმინიაც წავიდა

**„დეპორტივოს"** ყოფილმა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ჯალმინიამ 34 წლის ასაკში ფეხბურთისთვის თავის დანებება გადაწყვიტა. ჯალმა დიას ფეიტოსას თქმით, მას კარიერის დასრულება სურს და მომავალი სეზონიდან არც „პალმეირასში" — გუნდი, რომელშიც ახლა ირიცხება — და არც სხვა რომელიმე კლუბში აღარ ითამაშებს.

„საკმარისია. ოჯახთან ერთად მშვიდად დასვენება მსურს" — მოკლედ ამბობს ჯალმინია.

ოკეანისგაღმელმა ნახევარმცველმა თავის პროფესიონალურ კარიერაში სულ 524 მატჩი ჩაატარა და 166 გოლი გაიტანა. საუკეთესო წლები კი უდავოა, სწორედ „დეპორტივოში" გაატარა, მასთან ერთად 1999-2000 წლების სეზონში ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო.

„ის პერიოდი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, „რიასორზე" ფეხბურთისა და ცხოვრების შესახებ ბევრი რამ გავიგე. სამწუხაროა, რომ რიგი მიზეზების გამო გუნდის დატოვება მომიხდა" — აღნიშნა ბრაზილიელმა. „მიზეზებში" კი ჯალმინია ლა კორუნიელთა ფიცხ დამრიგებელთან, ხავიერ ირურეტასთან დაპირისპირებას გულისხმობს.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, ჯალმინია იქ თოთხმეტჯერ მიიწვიეს და ნაკრების შემადგენლობაში 1997 წელს კოპა ამერიკაც მოიგო. ევროპაში გადაბარგებამდე კი „პალმეირასში" რივალდოსთან, ლუიზაოსთან, კაფუსთან და ფლავიო კონსეისაოსთან ერთად უთამაშია.

# პიცი, შენი დედაც...

## ინჩასები მწვრთნელის თავისგან მალე პიცას მოამზადებენ

**არგენტინული** „კოლონის" ინჩასობა ნუ გაიკვირვებთ და მწვრთნელ ხუან ანტონიო პიცის თავს ითხოვს.

საქმე ისაა, რომ ერთგული გულშემატკივრები ახალდაწყებულ კლაუსურაში საყვარელი გუნდის უსუსტესმა ბურთაობამ ისე გააცოფა, რომ ჯავრის ყრა მწვრთნელზე გადაწყვიტეს. არადა, სენიორ პიცი სულ სამი თამაშია, რაც სანტაფეს გუნდს თავკაცობს.

„კოლონი" ახლა ჩემპიონატის ცხრილში ბოლო ადგილზეა, მან „რივერ პლეიტთან", „ესტუდიანტესთან" და „არსენალთან" წააგო.

„ნამდვილად პიცის ურჩევნია, არგენტინას საერთოდ მოშორდეს. თუ იგი კვლავაც დარჩება „კოლონის" თავკაცად, რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს" — განუცხადა შინ, კორდობას „არსენალთან" 0:2 წაგების შემდეგ ჟურნალისტებს მავანმა გაანჩხლებულმა ქომაგმა, რომელმაც ცხადია, თავისი ვინაობა არ გაამხილა. იქამდე კი, ანუ „არსენალთან" თამაშის მიწურულს, როცა ანგარიში უკვე 0:2 იყო, გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე ასეთი შინაარსის პლაკატი გამოფინეს — „პიცი, წადიო შე ბოზიშვილო, თორემ თავს მოგაჭრით!"



ინჩასებმა არც „კოლონის" ფეხბურთელები დაინდეს და მათ გასახდელში შესვლა პოლიციის თანხლებით მოუწიათ — ტრიბუნებიდან ბოთლებისა თუ სხვა საგნების ზღვა მიდიოდა.

ერთიც, ზემოხსენებული ხუან ანტონიო პიცი ის კაცია, რომელსაც რამდენიმე წლის წინ არგენტინულ კლუბებში უთამაშია და ერთი ხანობა, კატალონიური „ბარსელონას" ღირსებასაც იცავდა.





# დარჩი ჩვენთან, ნუ მიგვატოვებ

## პელემ რობინიოს მამაშვილურად შთააგონა

**ფეხბურთის** მეფემ, ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუმ თანამემამულე ნორჩ ვარსკვლავს, სანტოსელ რობინიოს ბრაზილიაში დარჩენა ურჩია. მოგეხსენებათ, რობინიო ზაფხულიდან მადრიდის „რეალში" უნდა გადავიდეს და მისი ევროპული ტრანსფერიც ამ ცოტა ხნის წინ მოგვარდა. მაგრამ, პელეს აზრით, როგორც რობსონ დე სოუზასთვის, ისევე ბრაზილიური ფეხბურთისთვის გაცილებით უკეთესი იქნება ყმაწვილმა რობინიომ მომავალ სეზონში ისევ „სანტოსის" მაისურა მოირგოს და არა „რეალისა".

„რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ რობინიომ თავის კარიერაზე და ოჯახის კეთილდღეობაზე უნდა იფიქროს — თანამედროვე ფეხბურთი და ბიზნესი ხომ ის აღარ არის, რაც მაგალითად, ჩემს დროს იყო, მაგრამ როგორც სულით ძირძველ ბრაზილიელს, ამ ბიჭის ბედი ძალიან მაღელვებს" — პელეს მამაშვილური დარიგება ბრაზილიურმა LANCE A+-მა ამცნო დუნიას.

საინტერესოა, რომ ლეგენდარულმა სანტოსელმა რობინიოს ბრწყინვალე საფეხბურთო ნიჭი ოთხმოცდაათიან წლებში თავად აღმოაჩინა მაშინ, როდესაც პატარა რობინიო „სანტოსის" ბავშვთა გუნდის წევრი გახლდათ.

„პატარა, უსუსური, ჩიტივით სუსტი და გალეული ბავშვი იყო, მაგრამ როგორც კი მისი თამაში ვნახე, უცებ დავრწმუნდი მის საოცარ ნიჭიერებაში. დამიჯერეთ, ორ წელიწადში ჩემი ნათქვამის სისწორეში ყველანი თვალნათლივ დარწმუნდებით" — დაბეჯითებით იწინასწარმეტყველა პელემ.

და საერთოდ, მან ცოტა ხნის წინ, 21 წლის რობინიო თავის მემკვიდრედ დაასახელა: „იგი თავისი ქარიზმითა და დიდებული ბურთაობით „სანტოსსა" და ბრაზილიის ნაკრებს ახალ ინჩასებს შესძენს, ოღონდ ამისთვის აუცილებელია სულ ცოტა, ერთი სეზონით კიდევ ბრაზილიაში იბურთაოს".

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 15 | დერბი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | როჩდეილი-გრიმსბი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:45 | 41 | ნორთჰემპტონი-იოვილი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 54 | სტივენეიჯი-მორიკომბი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 22:45 | 55 | ლეი-კონვი | 2.9 | 3.3 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.3 |
| 22:45 | 56 | ალდერშოტი-ექსეტერი | 2.0 | 3.3 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| 22:45 | 434 | იორკი-ბარნეტი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 22:45 | 435 | სკარბორო-ტემუორთი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 68 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.8 | 3.0 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 22:45 | 69 | ჰარტსი-რეინჯერსი | 7.0 | 3.8 | 1.4 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 22:45 | 70 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 71 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 22:45 | 72 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 73 | სელტიკი-დანდი | 1.1 | 7.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 22:45 | 74 | სელტიკი-დანდი0:1 | 1.3 | 4.5 | 4.3 | | | |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 436 | როსი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 443 | ქუინი-კლაიდი | 2.65 | 3.5 | 2.2 | 1.5 | 1.2 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 437 | ბერიკი-სტრანრარი | 2.65 | 3.5 | 2.2 | 1.5 | 1.2 | 1.35 |
| 22:30 | 438 | დამბარტონი-ბრეჩინი | 3.0 | 3.6 | 1.95 | 1.63 | 1.18 | 1.26 |
| 22:30 | 439 | ფორფარი-მორტონი | 2.7 | 3.5 | 2.1 | 1.52 | 1.18 | 1.31 |
| 22:30 | 440 | ალოა-სტირლინგი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 441 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.65 | 3.6 | 4.0 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 22:30 | 442 | ალბიონი-ქუინზ პარკი | 2.2 | 3.6 | 2.6 | 1.36 | 1.19 | 1.5 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 145 | შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი | 2.65 | 3.2 | 2.4 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 21:30 | 147 | აარაუ-ციურიხი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:30 | 148 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:30 | 149 | ქსამაქსი-ბაზელი | 2.75 | 3.2 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | **ესპანეთი, I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 23:55 | 208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.4 | 4.0 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:00 | 207 | ალბასეტე-ოსასუნა | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:00 | 209 | რეალი-ბეტისი | 1.5 | 3.8 | 6.0 | 1.07 | 1.2 | 2.32 |
| 22:00 | 210 | ხეტაფე-დეპორტივო | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 22:00 | 211 | სევილია-ვალენსია | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:00 | 212 | სოსიედადი-სარაგოსა | 2.1 | 3.2 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 22:00 | 213 | რასინგი-ატლეტიკო | 2.5 | 3.2 | 2.65 | 1.4 | 1.28 | 1.44 |
| 22:00 | 214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.45 | 3.8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| 22:00 | 215 | მალაგა-ბილბაო | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 380 | ბაიერნი(მ)-ვერდერი | 7.0 | 4.0 | 1.4 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 21:30 | 381 | არმინია-ჰანზა | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:30 | 382 | შალკე-ჰანოვერი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 383 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 384 | ბრენტფორდი-საუთჰემპტონი | 3.8 | 3.3 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |
| 23:05 | 385 | შეფილდი-არსენალი | 5.4 | 3.4 | 1.6 | 2.08 | 1.23 | 1.08 |
| 23:00 | 386 | ბლექბერნი-ბარნლი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 387 | ნოტინგემი-ტოტენჰემი | 5.0 | 3.4 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 388 | კლერმონი-ლიონი | 5.5 | 3.5 | 1.55 | 2.13 | 1.2 | 1.07 |
| 22:45 | 392 | ნიმი-ნიცა | 3.5 | 3.0 | 2.0 | 1.61 | 1.27 | 1.2 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 389 | ალბი-სოშო | 8.0 | 4.5 | 1.3 | 2.88 | 1.11 | 1.0 |
| 22:45 | 390 | ოსერი-პსჟ | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | 1.61 |
| 21:00 | 391 | ლილი-გრენობლი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 19:00 | 393 | რენი-მონაკო | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 444 | გენტი-ლოკერენი | 1.85 | 3.4 | 3.85 | 1.19 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 445 | ლუვიე-ბრიუგე | 4.6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 21:45 | 395 | ტილბურგი-დენ ბოსხი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 22:45 | 396 | დენ ჰააგი-აიაქსი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 21:45 | 397 | პსვ-ოსი | 1.05 | 7.5 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.0 |
| 22:45 | 398 | ფეიენოორდი-ბრედა | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 399 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 22:00 | 400 | ამადორა-ბელენენსეში | 2.8 | 3.1 | 2.3 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 401 | სეტუბალი-ბრაგა | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 402 | ბენფიკა-ბეირა მარი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 406 | დიარბაქირი-გალათასარაი | 4.3 | 3.6 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 16:30 | 403 | დენიზლი-კონია | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 21:30 | 404 | ფენერბაჰჩე-კაისერი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 19:00 | 405 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. თასი 1 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 407 | ტორპედო-მეტალურგი | 1.25 | 5.6 | 8.0 | 1.02 | 1.08 | 3.29 |
| 15:00 | 408 | მოსკოვი-ცსკა | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **როიალ ლიგა 3 მარტი** | | | | | | |
| 22:35 | 446 | კოპენჰაგენი-რუსენბორგი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:35 | 447 | ვოლერენგა-გიოტებორგი | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი 1 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 450 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 2.0 | 4.4 | 2.25 | 1.37 | 1.05 | 1.48 |
| 21:00 | 451 | იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2.2 | 4.2 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 21:00 | 452 | ფერიესტადი-მალმიო | 1.25 | 4.8 | 6.0 | 1.0 | 1.03 | 2.66 |
| 21:00 | 453 | ლულეო-სიოდერტელიე | 2.1 | 4.1 | 2.2 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 454 | მორა-ბრიუნესი | 1.4 | 4.5 | 4.6 | 1.06 | 1.07 | 2.27 |
| 21:00 | 455 | ტიმრე-მოდო | 1.8 | 4.3 | 2.7 | 1.26 | 1.08 | 1.65 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი 1 მარტი** | | | | | | |
| 19:30 | 456 | ესპოო-ესეტი | 2.05 | 4.2 | 2.3 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 19:30 | 457 | იუვესკიულე-ტურკუ | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 19:30 | 458 | კერპეტი-ლუკო | 1.6 | 4.4 | 3.3 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| 19:30 | 459 | იოკერიტი-ილვესი | 1.5 | 4.2 | 4.0 | 1.1 | 1.09 | 2.04 |
| 19:30 | 460 | სეიპა-პაამეენლინა | 3.2 | 4.3 | 1.65 | 1.83 | 1.08 | 1.19 |
| 19:30 | 461 | პელიკანსი-ჰელსინკი | 6.0 | 4.6 | 1.3 | 2.6 | 1.06 | 1.01 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი. 1 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 474 | პარდუბიცე-კლადნო | 1.65 | 4.4 | 3.15 | 1.2 | 1.08 | 1.83 |
| 19:00 | 475 | სპარტა-ტრჟინეცი | 1.2 | 4.8 | 7.0 | 1.0 | 1.02 | 2.84 |
| 19:00 | 476 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1.85 | 4.3 | 2.65 | 1.29 | 1.08 | 1.63 |
| 19:30 | 477 | ზლინი-ლიბერეცი | 1.7 | 4.3 | 3.0 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 19:30 | 478 | პლზენი-ზნოიმო | 1.95 | 4.3 | 2.45 | 1.34 | 1.08 | 1.56 |
| 19:30 | 479 | დუკლა-ვსეტინი | 1.9 | 4.2 | 2.55 | 1.3 | 1.08 | 1.58 |
| 19:30 | 480 | კარლოვი ვარი-სლავია | 2.35 | 4.2 | 2.05 | 1.5 | 1.09 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი 1 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 481 | მიკულაში-კოშიცე | 2.4 | 4.0 | 2.0 | 1.5 | 1.09 | 1.33 |
| 19:00 | 482 | ნიტრა-ტრენჩინი | 2.7 | 4.2 | 1.8 | 1.64 | 1.08 | 1.25 |
| 19:00 | 483 | ჟილინა-პოპრადი | 1.75 | 4.2 | 2.8 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 19:00 | 484 | ზვოლენი-სლოვანი | 2.1 | 4.0 | 2.3 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 19:00 | 485 | დუბნიცა-სკალიცა | 2.15 | 4.0 | 2.2 | 1.39 | 1.08 | 1.41 |
| | | **ჰოკეი. გერმანია 1 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 486 | ინგოლშტადი-ფრანკფურტი | 2.1 | 4.2 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| 21:30 | 487 | ჰამბურგი-აისბარენი | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 21:30 | 488 | ნიურნბერგი-იზერლონი | 1.45 | 4.5 | 4.0 | 1.09 | 1.06 | 2.11 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია 1 მარტი** | | | | | | |
| 21:45 | 502 | ამბრი-ციურიხი | 2.2 | 4.4 | 2.15 | 1.46 | 1.08 | 1.44 |
| 21:45 | 503 | ბერნი-ლუგანო | 1.9 | 4.4 | 2.3 | 1.32 | 1.04 | 1.51 |
| 21:45 | 504 | სერვეტი-ცუგი | 1.95 | 4.4 | 2.35 | 1.35 | 1.06 | 1.53 |
| 21:45 | 505 | რაპერსვილი-დავოსი | 2.2 | 4.3 | 2.1 | 1.45 | 1.07 | 1.41 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.9 | 1.7 |
| 13209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 13210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13211 | სევილია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 13214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.9 | 1.7 |
| 13215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.3 | 2.5 |
| 14207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.8 | 2.0 |
| 14208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.2 | 2.6 |
| 14209 | რეალი-ბეტისი | 1.3 | 2.5 |
| 14210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.9 | 1.9 |
| 14211 | სევილია-ვალენსია | 1.8 | 2.0 |
| 14212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 2.2 |
| 14213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.9 | 1.9 |
| 14214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.3 | 2.5 |
| 14215 | მალაგა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15206 ლევანტე-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 ალბასეტე-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 ბარსელონა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 რეალი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15210 ხეტაფე-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 სევილია-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 სოსიედადი-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 რასინგი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 ვილიარეალი-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 მალაგა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.6 | 2.1 |
| 12207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.6 | 2.1 |
| 12208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 2.0 | 1.6 |
| 12209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12211 | სევილია-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 12212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 12214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11206 ლევანტე-ნუმანსია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11207 ალბასეტე-ოსასუნა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11208 ბარსელონა-ესპანიოლი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11209 რეალი-ბეტისი | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 4.9 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11210 ხეტაფე-დეპორტივო | 3.9 | 10.0 | 20,0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11211 სევილია-ვალენსია | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11212 სოსიედადი-სარაგოსა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11213 რასინგი-ატლეტიკო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11214 ვილიარეალი-მალიორკა | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11215 მალაგა-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |

## I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10206 | ლევანტე-ნუმანსია | 2.2 | 2.0 | 5.3 | 1.04 | 1.55 | 1.45 |
| 10207 | ალბასეტე-ოსასუნა | 2.95 | 2.0 | 3.3 | 1.19 | 1.55 | 1.24 |
| 10208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.75 | 2.3 | 7.0 | 1.0 | 1.39 | 1.73 |
| 10209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 2.1 | 6.6 | 1.0 | 1.47 | 1.59 |
| 10210 | ხეტაფე-დეპორტივო | 3.35 | 2.0 | 2.95 | 1.25 | 1.56 | 1.19 |
| 10211 | სევილია-ვალენსია | 2.8 | 2.0 | 3.55 | 1.16 | 1.56 | 1.27 |
| 10212 | სოსიედადი-სარაგოსა | 2.7 | 2.0 | 3.65 | 1.14 | 1.55 | 1.29 |
| 10213 | რასინგი-ატლეტიკო | 3.0 | 2.0 | 3.2 | 1.2 | 1.54 | 1.23 |
| 10214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 2.3 | 6.2 | 1.02 | 1.42 | 1.67 |
| 10215 | მალაგა-ბილბაო | 2.85 | 2.0 | 3.55 | 1.17 | 1.58 | 1.27 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.25 | 3.0 |
| 16207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.5 | 2.2 |
| 16208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.1 | 6.0 |
| 16209 | რეალი-ბეტისი | 1.15 | 4.8 |
| 16210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.8 | 1.75 |
| 16211 | სევილია-ვალენსია | 1.65 | 2.1 |
| 16212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.6 | 2.2 |
| 16213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.8 | 1.9 |
| 16214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.15 | 4.8 |
| 16215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 2.0 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | რეალი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17211 | სევილია-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | მალაგა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |

# შემონდ ალქიმიკოსი

## ცქიტიშვილმა სკამი გამოიცვალა



„გოლდენ სტეიტის“ ორი ახალწვეული: ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ბაირონ დევისი

**ლეგიონერთა** ცხრილში ერთ უცნაურობას შეამჩნევდით. კერძოდ იმას, რომ ნიკა ცქიტიშვილის გასწვრივ ორი გუნდის სახელწოდება წერია. ანუ გასულ კვირაში „სკიტას“ ორი გუნდის, „დენვერისა“ და „გოლდენ სტეიტის“ სათადარიგო სკამზე მოუწია ჯდომა და ლეგიონერთა მიმოხილვის მთავარი ამბავიც ცქიტიშვილის ტრანსფერია.

როგორც იქნა, „დენვერი“ შეეგუა იმ აზრს, რომ 2002 წელს დრაფტის მე-5 არჩევანი ამაოდ გაფლანგა და ამ ნომრად არჩეულ ნიკა ცქიტიშვილს გამოეთხოვა. „ნაგიტსის“ ხელმძღვანელობა ბევრს ელოდა, მაგრამ ქართველი ფორვარდისგან ხეირი ვერ ნახა და ცქიტიშვილის მორიგი შანსიც ახლა „გოლდენ სტეიტია“.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს შანსი ცქიტიშვილისთვის გაცილებით მცირეა, ვიდრე „დენვერში“ ჰქონდა. ის „გოლდენ სტეიტში“ მივიდა საშუალოზე სუსტ მოთამაშეებში გაცვლის გზით და ახლა მისთვის ნაკლებად სცხელათ ოკლენდელებს. „ნაგიტსში“ კი ნიკას დრაფტის მოწინავის სახელი ჰქონდა და ამის ხათრით მას მთელი 2002-03 წლის სეზონი დაუთმეს, თუმც ქართველმა ფრთები მაინც ვერ გაშალა.

გუშინწინ „სკიტამ“ პირველად მოირგო „გოლდენ სტეიტის“ მაისურა, თუმც მთელი შეხვედრა ისე გაილია, ქართველი ფორვარდი სათადარიგო სკამიდან არ წამომდგარა. ანუ ცქიტიშვილს არც ახალ გუნდში ენდობიან და ალბათ სასწაული უნდა მოხდეს, მან მოედანზე თუნდაც 10-15 წუთით ყოფნის უფლება დაიმსახუროს.

ამ არასასიამოვნო ამბის ფონზე ხასიათის გამოსაკეთებლად მეორე ნბა-ელი ქართველის, ზაზა ფაჩულიას კარიერის პირველი ორმაგი დუბლი დაგვეხმარება. ზაზამ „ნიუ ჯერსისთან“ საშინაო შეხვედრაში 14 ქულა და 12 მოხსნა გაჩარხა და მილუოკელებს გაამარჯვებინა. ქართველი გოლიათის კარგი თამაში უყურადღებოდ არ დარჩენიათ ამერიკელ ჟურნალისტებს და არაერთი სპორტული გამოცემის ვერსიით, ის მატჩის გმირი გახდა.

ევროპაშიც მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობს „ხუთჯვაროსანთა“ ლეგიონი, რომელთაგან უპირველესად შავკანიანი შემონდ უილიამსის გარჯაა გამოსარჩევი. შემონდის „უნიკსმა“ წარმატებით გადლახა ფიბა-ევროლიგის საპლეიოფო შეხლა უკრაინულ „ხიმიკთან“ და ამ ტურნირის მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველი ჯგუფური ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ ყაზანელებმა ორმატჩიანი სერია მოუგეს უკრაინელ ქიმიკოსებს და ამ მატჩების ბომბარდირი შემონდ უილიამსი გახდა. „უნიკსმა“ პირველ მატჩში სტუმრად 70:63 დაამარცხა „ხიმიკი“, მეორეშიც იოლად დააჩოქა, უილიამსმა კი ჯამში 36 ქულა მოიხვეჭა.

ამავე ტურნირის ჯგუფიდან ჯგუფში გადასასვლელი საპლეიოფო მატჩი ითამაშა ვიქტორ სანიკიძის „დიჟონმაც“, რომელსაც, „უნიკსის“ დარად, ქიმიკოსთა გუნდი ჰყავდა მეტოქედ. დიჟონელები მოსკოვში „ხიმკის“ შეხვდნენ და 78:87 დამარცხდნენ. სანიკიძეს 26 წუთში 8 ქულა, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოუგროვდა, რაც 19 წლის მოთამაშისთვის თავისთავად კარგი შედეგია. დიჟონს საპასუხო მატჩი წუხელ უნდა ეთამაშა მოსკოველებთან.

ადრიატიკის ლიგაში მორიგი მატჩი მოიგო ლიუბლიანის „ოლიმპიამ“, თუმც თანაქალაქელი „სლოვანი“ ლამის ყელში გაეჩხირა. ვლადიმერ ბოისას გუნდს დამატებითი დრო დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად, რითაც ცხრილში ლიდერობა შეინარჩუნა. ბოისამ 37 წუთში 12 ქულა მიითვალა, მანუჩარ მარკოიშვილს კი კვლავ არ უთამაშია.

მიმოხილვას ტატო ვაშაკიძის ლიტვური ამბებით დავასრულებთ, ვისი „პასვალიოც“ წარმატებით მიიბრძვის უმაღლესი დივიზიონისკენ. ვაშაკიძის გუნდმა გასულ შაბთ-კვირას მორიგი ორი შეხვედრა მოიგო, ქართველმა გამთამაშებელმა კი ამ მატჩებში დიამეტრალურად განსხვავებული შედეგიანობით ითამაშა. „პასვალიომ“ შინ „პაკრულს“ რომ სძლია, ტატოს ანგარიშზე ოდენ 3 ქულა დაგროვდა, მეორე დღეს კი ვაშაკიძემ „იონავოსს“ 27 წუთში 27 ქულა ჩაუგდო და მატჩის გმირი გახდა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | სლოვანი | შ | 88:87 | 37 | 12 | 1 | 2 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | სლოვანი | შ | 88:87 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A.ფიბა-ევროლიგა | ხიმკი (რუს) | ს | 78:87 | 26 | 8 | 7 | 1 | 3 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | ბეზანსონი | ს | 85:106 | 15 | 14 | 1 | 0 | 0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა | ხიმიკი (უკრ)<br>ხიმიკი (უკრ) | ს<br>შ | 70:63<br>69:51 | 39<br>33 | 17<br>19 | 5<br>5 | 7<br>3 | 0<br>2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | შ | 66:56 | 17 | 2 | 3 | 0 | 1 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | იონავოსი<br>პაკრული | ს<br>შ | 107:93<br>103:99 | 27<br>25 | 27<br>3 | 6<br>1 | 5<br>2 | 3<br>1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი<br>გოლდენ სტეიტი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ბოსტონი<br>დეტროიტი | შ<br>შ | 107:86<br>88:94 | 7<br>არ უთამაშია | 1 | 2 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ტორონტო<br>შარლოტი<br>ნიუ ჯერსი | შ<br>ს<br>შ | 102:106<br>112:102<br>100:81 | 12<br>18<br>31 | 4<br>5<br>14 | 3<br>4<br>12 | 0<br>1<br>2 | 1<br>0<br>1 |

**შენიშვნა:** წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

27 თებერვალი

**მილუოკი 99:73 სიეტლი**

მილუოკი: უილიამსი (8), რედი (35), მეისონი (19), სმიტი (16), გაძურიჩი (2); სტრიკლენდი (7), ფაჩულია (10 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა), კუკოჩი (3), ბუტი (3), ფაიზერი (2), გეინესი

სიეტლი: ალენი (16), რიდნური (6), ლუისი (9), ევანსი (4), ჯეიმსი; მიურეი (14), დენიელსი (10), კოლისონი (9), ფორტსონი (6), რადმონოვიჩი (2), პოტაპენკო, სვიფტი

**გოლდენ სტეიტი 88:94 დეტროიტი**

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (19), რიჩარდსონი (25), დანლივი (8), მერფი (7), ფოილი (6); პიეტრუსი (12), დევისი (10), ჩაბარკაპა, ბიედრინსი, ვაიტი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

დეტროიტი: ბილაფსი (16), ჰამილტონი (13), პრინსი (23), ვოლესი (17), უოლესი (14); არროიო (5), ჰანტერი (4), მაკდაიესი (2)

**ფინიქსი 113:120 ბოსტონი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (27)

ბოსტონი: უოლკერი (33)

**ჰიუსტონი 92:93 იუტა**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23), ჯეიმსი (21)

იუტა: ჰარპრინგი (28), ბელი (21)

**შარლოტი 93:94 დენვერი**

შარლოტი: დიკაუ (22)

დენვერი: ენტონი (31)

**ვაშინგტონი 108:110 საკრამენტო**

ვაშინგტონი: არენასი (43)

საკრამენტო: ბიბი (38)

**ტორონტო 108:102 ლეიკერსი**

ტორონტო: როუზი (21), მარშალი (19)

ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ატკინსი (22)

**კლიპერსი 111:104 ატლანტა**

კლიპერსი: მეჯიტი (25), საიმონსი (24)

ატლანტა: ლუ (24), ჰარინგტონი (23)

**ორლანდო 103:112 მაიამი**

ორლანდო: ჰილი (34), ფრენსისი (22)

მაიამი: ვეიდი (28), ჯონსი (24)

**ნიუ ჯერსი 104:98 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (34)

კლივლენდი: ჯეიმსი (28)



ფინიქსელმა ამარე სტუდემაიერმა ბოსტონელი პოლ პირსი ლამის ალეწა

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 29 | 28 | 50,9 |
| ფილადელფია | 26 | 29 | 47,3 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 32 | 43,1 |
| ტორონტო | 24 | 32 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 25 | 32 | 43,9 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 35 | 19 | 64,8 |
| კლივლენდი | 31 | 23 | 57,4 |
| ჩიკაგო | 29 | 24 | 54,7 |
| ინდიანა | 28 | 27 | 50,9 |
| მილუოკი | 23 | 31 | 42,6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 42 | 16 | 72,4 |
| ვაშინგტონი | 30 | 24 | 56,4 |
| ორლანდო | 28 | 27 | 50,9 |
| შარლოტი | 11 | 42 | 20,8 |
| ატლანტა | 10 | 45 | 18,5 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 42 | 13 | 76,4 |
| დალასი | 37 | 17 | 68,5 |
| ჰიუსტონი | 32 | 24 | 57,1 |
| მემფისი | 31 | 25 | 55,4 |
| ნიუ ორლეანი | 11 | 44 | 20,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 38 | 16 | 70,4 |
| მინესოტა | 28 | 29 | 49,1 |
| დენვერი | 27 | 29 | 48,2 |
| პორტლენდი | 22 | 32 | 40,7 |
| იუტა | 18 | 37 | 32,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 43 | 14 | 75,4 |
| საკრამენტო | 36 | 21 | 63,2 |
| ლეიკერსი | 28 | 26 | 51,9 |
| კლიპერსი | 25 | 31 | 44,6 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 39 | 29,1 |

# ბაკურიანი ოლიმპიადას ეპარება

**მიზნის** მისაღწევად საჭიროა სულისკვეთება, იდეა და სახსრებიო, გვითხრა გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა, რომელსაც არც ერთი აკლია, არც მეორე და არც მესამე.



ბადრი პატარკაციშვილი მართლაც იდეებით აღსავსე კაცია. შარშანდელი წლის მიწურულს, როცა სეოკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს, ისე, გაკვრით, თითქოს სასხვათაშორისოდ თქვა, ჩვენ უნდა ვცადოთ, რომ ბაკურიანმა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოსო. მაშინ ამ სიტყვებს სერიოზული ყურადღება არავინ მიაქცია და ზოგმა პასუხად თავისთვის ამოიოხრა, ეჰ, ლამაზი ოცნებააო.

გუშინ, სეოკ-ის აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე ბადრი პატარკაციშვილმა თავისი იდეა ბაკურიანის თაობაზე კვლავ წამოაყენა, ოღონდ ამჯერად მის გამოსვლას ოხვრა კი არა, აღტაცებული მზერა, სულგანაბული სმენა და ბოლოს ტაშიც მოჰყვა.

— უნდა ვიბრძოლოთ, რათა ბაკურიანი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კანდიდატთა შორის მოხვდეს — თქვა ბადრი პატარკაციშვილმა და იქვე იკითხა, თუ კი შეიძლება ვცადოთ, რატომაც არ უნდა ვცადოთ? ეს თუ არ გამოგვივა 2014 წლისთვის, უნდა ვცადოთ 2018 წლისთვის. თუ ვერც მაშინ მივაღწევთ საწადელს, მაინც მოგებულები დავრჩებით, რადგან აშენდება და დამშვენდება ბაკურიანი...

სეოკ-ის პრეზიდენტი ბაკურიანზე რომ საუბრობდა, გულისხმობდა გუდაურსა და თბილისსაც, რადგან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ერთი დაბა თუ ქალაქი კი არა, რამდენიმე მასპინძლობს. ბადრი პატარკაციშვილი ბაკურიანზე, ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, სეოკ-ის სტრუქტურულ ცვლილებებზე თუ ამ ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი ამოცანების შესახებ რომ საუბრობდა, თქვა, ჩემს აღლოს ჩემთვის ჯერ არ უღალატიაო.

სხდომაზე სხვა მრავალთან ერთად ბაკურიანის პერსპექტივებზე ისაუბრა გოგი თოფაძემაც, რომელიც გუშინ კვლავ აირჩიეს სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტად. გოგი თოფაძემ ისიც თქვა, გუშინ აქ ვიწრო წრისთვის გავმართეთ სხდომა და ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ დღეს ეს დარბაზი სტუმართა მიღებას შეძლებდა, რადგან აქ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოები მიმდინარეობდა.

მაგრამ ყველაფერი მოესწრო და ჩვენ უბრალოდ მრგვალი დარბაზი კი არა, ნამდვილი, ნატიფი და გემოვნებით გაწყობილი ზღაპრული სასახლე ვიხილეთ. დარბაზმა იქ შეკრებილი მრავლისმნახველი საზოგადოებაც აღაფრთოვანა, რომელიც, ამასთან, უცხოელებისა კი არა, ჩვენივე თანამემამულეების მიერ ქმნილება თუ ნახელავი აღმოჩნდა. ამიტომაც გუშინდელი ნანახ-მოსმენილის მერე შეუძლებელი აღარაფერი გვეჩვენება. ამიტომაც იყო, რომ ბადრი პატარკაციშვილის იდეას ბაკურიანის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საკანდიდატო მასპინძლობის თაობაზე გუშინ ოხვრა კი არა, მომავლის ახალი იმედი მოჰყვა. აკი სეოკ-ის აღმასკომის წევრმა ომარ გოგიაშვილმა თავისი გამოსვლის დასასრულს თქვა კიდეც, აქედან საოცარი ოპტიმიზმითა და განწყობით მივდივარო.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ აღმასკომის სხდომის გამართვა საკმაოდ დაგვიანდა. არადა, ასარჩევნი იყვნენ სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტები, გენერალური მდივანი, აღმასკომის ბიუროს წევრები...

დასამტკიცებელი იყო სამუშაო გეგმა და სხვაც მრავალი, მაგრამ ომარ გოგიაშვილმა თქვა, ამ სხდომის დაგვიანებით ჩატარება ნამდვილად ღირდა საიმისოდ, რომ მოგვესმინა ასეთი სკრუპულოზულად დაწერილი მოხსენება, სადაც ყველა ნიუანსია გათვალისწინებული. ეტყობა, ყოველივეზე ბევრი უფიქრიათ და აღმასკომის შემადგენლობა საქმეს კარგად წარუძღვებაო.

ასე იყო თუ ისე, სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ლერი ხაბელოვი, რომელსაც სპორტის ზაფხულის სახეობათა კოორდინატორობა დაეკისრა.

სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად, როგორც აღვნიშნეთ, გოგი თოფაძე აირჩიეს, ვინც სპორტის ზამთრის სახეობებს გაუწევს კოორდინაციას.

სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტების პოსტზე ვაკანტური დარჩა ორი ადგილი.

აღმასკომის დადგენილებით, „მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ იმ პიროვნებას, რომელიც სათავეში ჩაუდგება საინიციატივო ჯგუფსა და საორგანიზაციო კომიტეტს და კოორდინაციას გაუწევს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, აირჩევენ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად.

მიზანშეწონილად მიიჩნიეს ისიც, რომ ის „პიროვნება, რომელიც კურატორობას გაუწევს სეოკ-ში მარკეტინგულ თუ ფინანსურ მიმართულებას და იმუშავებს მენეჯმენტზე, აირჩევენ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად."

სეოკ-ის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ემზარ ზენაიშვილი, რომლის წარდგენისას ბადრი პატარკაციშვილმა იგი დაახასიათა როგორც „უნიკალური ადამიანი".

ზენაიშვილის მიმართ ბევრი სამადლობელი სიტყვა მოვისმინეო, თქვა ბადრი პატარკაციშვილმა და დამსწრე საზოგადოებას აცნობა მისი საერთაშორისო აღიარებაც — მსოფლიოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გადაწყვეტილებით ემზარ ზენაიშვილი ჯილდოვდება ამ ორგანიზაციის ორდენით. ბადრი პატარკაციშვილმა ისიც დასძინა, ემზარ ზენაიშვილს ამ ორდენს გაისად იტალიაში გადასცემენო.

ამავე სხდომაზე ემზარ ზენაიშვილმა საქართველოს ოლიმპიური ფონდის სახელით სეოკ-ის ექსპრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს იქვე მერსედესის გასაღები გადასცა.

ამ გვარად ოლიმპიურ მოძრაობაში ჯანო ბაგრატიონის წვლილი კიდევ ერთხელ დაფასდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ბადრი კუთილაძის**
ფოტოები





# ფედერერს სირეკორდე დაუგრძელდა



**დუბაის ვაჟთა ღია პირველობა**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 975 ათასი $**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (8, ხორვატია) 6:1 6:7 (6:8) 6:3**

როჯერ ფედერერმა ზედიზედ მესამედ მოიგო დუბაის ღია პირველობა და ზედიზედვე მეთექვსმეტე ფინალში იმარჯვა. ეს კი — აბა, რავდენგზის უნდა მოვიგონოთ — ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. ფედერერამდელ რეკორდოსნებს ბიორნ ბორგსა და ჯონ მაკინროის კი თავ-თავიანთ დროს მიჯრით ოდენ 12-12 ფინალში ეხეირათ. სხვაფრივ — ეს მისი 25-ე საკარიერო და მესამე საამსეზონო ტიტულია და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წლევანდელი სამივე ჯილდო (დუბაური, როტერდამული და დოჰაური) ფედერერმა სწორედ ივან ლიუბიჩიჩთან ფინალურ შეხლებში მოიხვეჭა. ეს კი — თქვენც დაგვეთანხმებით — დასტურ გასამორჩევი ამბავია, მით უფრო, რომ 25 წლის ლიუბიჩიჩმა ამ ორი თვის განმავლობაში უკვე ოთხ ფინალში მოასწრო გასვლა და იმის მიუხედავად, რომ ხსენებული სამის გარდა მეოთხეშიც იძლია, ფულადაც ისარგებლა და ქულადაც.

**TENNIS CHANNEL OPEL**
**სკოტსდეილი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 355 ათასი $**

**ფინალი**

**უეინ ართურსი (ავსტრალია) — მარიო ანჩიჩი (3, ხორვატია) 7:5 6:3**

33 წლის ავსტრალიელმა უეინ ართურსმა კარიერის პირველი ტიტული თავის 128-ე ტურნირზელა იშოვნა. ის პირველია 1985 წელს ნიუპორტში გამარჯვებულ ტომ გალიკსონის შემდეგ, ვინაც კარიერის სასიფთაო ჯილდო სწორედ ამ ასაკისამ მოიღვაწა.

**ლევან ძელაურაძე**



**ლინარესის სუპერტურნირი**

**ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი**

**V ტური**

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
გარი კასპაროვი (რუსეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:0
ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
*პეტერ ლეკო (უნგრეთი) — დაისვენა*




# სამი წლის შემდეგ კასპაროვმა დაიბრუნა

**მსოფლიოს** მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა წინა ტურში დაკარგული ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა და ეს ბოლო სამ წელიწადში პირველად მოხდა. ამჟამად კასპაროვს ორი მოგება აქვს ორ ყაიმთან ერთად და მდევრებს მისი გადასწრება ერთობ გაუჭირდებათ.

კასპაროვმა და ადამსმა, როგორც შარშანდელ პარტიაში, ახლაც ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს. ინგლისელი აქტიურად ჩაება თამაშში, მსუბუქი ფიგურებით მცირე დარტყმები მიაყენა მტერს, შემდეგ კი ცენტრში ლაზიერი გამოიყვანა და უპირატესობას დაეუფლა. კასპაროვმა ნელ-ნელა წამოყარა თავისი ფიგურები, ცენტრში ადამსის გამაგრებულ ჯარს დაერია და მეტოქე იქიდან განდევნა. თამაში ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, მოჭადრაკეებმა ერთმანეთის ფიგურების ხოცვას მიჰყვეს ხელი და 23-ე სვლაზე კასპაროვი პაიკით დაწინაურდა. უმცირესობაში დარჩენილი ადამსი პაიკების გაყვანას შეეცადა და ფიგურები დაფის ორივე მხრიდან დაძრა. მეტოქეებმა ლაზიერები გაუშვეს წინ, რომელთაც მოწინააღმდეგეთა ხელმწიფეებზე მიიტანეს იერიში და შეეცადნენ, თავიანთი პაიკებისთვის გზა გაეკვალათ. იერიშებში თავიდან ადამსი გათამამდა, მძიმე ძალებით კასპაროვის სამფლობელოსაც ესტუმრა, თუმც გამოცდილ მტერს ზიანი ვერ მიაყენა და 54-ე სვლაზე ალამი დაუშვა.

ფიდეს ჩემპიონმა, უზბეკმა რუსტამ კასიმჯანოვმა და ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს და ბრძოლა მე-40 სვლაზე შეწყვიტეს. ყაიმისთვის კი ერთით მეტი სვლა დასჭირდათ მასპინძელ ფრანცისკო ვალეხოს და ინდუს ვიშვანათან ანანდს. ინდოელმა ასეთ სუსტ მეტოქეებთან თუ პანტაპუნტით კარგა ქულები, ლინარესის მოგება ერთობ გაუჭირდება. ტოტალიზატორებმაც ყველაფერი ეს გაითვალისწინეს და ფავორიტ კასპაროვს კუში 2-მდე შეუმცირეს, მეორე ადგილზე მყოფ ანანდის კი 2,8 კოეფიციენტი მიუწერეს.

**ლაშა გეგეჭკორი**



კასპაროვმა 54-ე სვლაზე ადამსი ბეჭებზე დააგდო




| | | |
|---|---|---|
| 1 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 3 ქულა/4 თამაში |
| 2 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 2,5/5 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2,5/4 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2/4 |
| 5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2/4 |
| 6 | მაიკლ ადმსი (ინგლისი) | 2/5 |
| 7 | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 1/4 |



# რუსთა მეოთხე ოქროს წერაყინი



**მოგეხსენებათ**, მთამსვლელობაში შეჯიბრებები არ იმართება (გამონაკლისი სსრკ იყო), მაგრამ ალპინისტთა განსაკუთრებულ წვლილს სახელმწიფოთა უმაღლესი ჯილდოებით მაინც აფასებენ. თუმცა, მსოფლიო ალპინიზმში არსებობს სხვადასხვა პრემიები. მათ შორის ღლესდღეობით ყველაზე პრესტიჟული გახლავთ „ოქროს წერაყინი".

შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით ეს ჯილდო მიენიჭა რუსეთის მთამსვლელებს, რომლებმაც ალექსანდრე ოდინცოვის მეთაურობით წარმატებით დალაშქრეს ჰიმალაიზე აღმართული ჟანუს პიკი (7804მ). რუსების ლაურეატობის შესახებ გაცხადდა გრენობლში გამართულ ტრადიციულ ცერემონიალზე, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა.

რუსმა მთამსვლელებმა გადაწყვიტეს უნიკალური ამოცანა, რომელიც ვერ შესძლეს სხვადასხვა ქვეყნის ვერცერთი წინამორბედი 26 ექსპედიციის წევრებმა. რუსებმა 7000 მეტრის ზემოთ დასძლიეს 700-მეტრიანი ფრიალო კედელი, რასაც უზარმაზარ სირთულესთან ერთად, ყინვასა და ქარბუქში 30 დღე-ღამე შეალიეს.

„ამ ასვლასთან შედარებით დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ლაშქრობა გამაჯანსაღებელ გასეირნებას ჰგავს. ჟანუს პიკზე პირობები გაუგონარია. დღევანდლამდე ამ კედლის დაძლევა ადამიანისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი ჩანდა!" — ასეთი კომენტარი გაუკეთა რუსების ექსპედიციის მიღწევას საფრანგეთის მთამსვლელთა ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ეს პრიზი — „ოქროს წერაყინი", რომელიც 1991 წელს დაარსდა, რუსეთის მთამსვლელებმა მეოთხედ მოიპოვეს. 1997 წელს მისი მფლობელი გახდა ეკატერინებურგელთა გუნდი, რომელმაც სერგეი ეფიმოვის მეთაურობით ჰიმალაის ერთ-ერთი რვაათასიანი მაკალუს (8403 მ) დასავლეთი კედელი დაძლია; 2001 წელს „ოქროს წერაყინი" მიიღო მოსკოველმა ვალერი ბაბანოვმა, რომელმაც მერის პიკზე (6130 მ) ჩრდილოეთის კედელი პირველმა და, ამასთან, სოლო ასვლით გაიარა; ორი წლის შემდეგ მანვე როსტოველ იური კოშელენკოსთან ერთად კიდევ ერთხელ მოიპოვა „ოქროს წერაყინი", როცა ალმოსავლეთ ნუფცზეზე (7804 მ) ავიდა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ერრიადულად

საუდის არაბეთში ეს ხანია დაიწყო ჯანადრიას ფესტივალი, არაბთა დიდი ლაღობის დღეები. მარტო ფესტივალის პირველ დღეს მომწყობებმა 150 ათასი სტუმარი დაითვალეს. ერ რიადის განაპირას კი იქაურთათვის საყვარელი აქლემთა დოღიც გაიმართა.



REUTERS ერ რიადიდან

# ნაგანოს ოლიმპიადა

ნაგანოში ლამაზად გაიხსნა 2005 წლის ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშები. 8 დღის განმავლობაში 86 ქვეყნის ინტელექტუალური ნაკლის მქონე სპორტსმენები ერთმანეთს ოლიმპიური ჯილდოებისთვის შეეჯიბრებიან.



REUTERS ნაგანოდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლენსი ხალიჩაზე

„ოსკარის“ ცერემონიალზე წითელ ხალიჩაზე ამ კაცმაც გაიარა. ვის ვის და,ველოსიპედისტ ლენს არმსტრონგს თავის ამბავში ოსკარებიც მოუგია და მეტიც. მუსიკოსი შერილ ქროუ კი მისი თითქმის ცოლია.



# ბალკანური მარშრუტი

ხნოვან მორბენალს, ალექსანდრ გოლოს 600-კილომეტრიან გზაზე გაუწევია. ამ მაკედონიელს თავისი გარბენი ტრაგიკულად დაღუპული ქვეყნის პრეზიდენტის ბორის ტრაიკოვსკისთვის მიუძღვნია. ავიაკატასტროფა ბოსნიურ ქალაქ მოსტართან მოხდა, ტრაიკოვსკის საფლავი კი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეშია. სწორედ ამ ორ წერტილს შორის გარბის გოლო. წინ კი კოსოვოს დედაქალაქი პრიშტინაა.

REUTERS პრიშტინიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, [illegible] ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, [illegible] ნიკო კოტორეიშვილი, [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge